როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომდროინდელ ქართულ პოეზიაზე რუსთველის მძლავრი პოეტური ზეგავლენა თავდაპირველად მის მიმბაძველთა მიერ შექმნილ იმ პოეტურ ტექსტებში გამოვლინდა, რომელთა ავტორებიც ახალი ეპიზოდების შეთხზვითა და ჩამატებებით ცდილობდნენ განეგრძოთ პოემის პერსონაჟთა თავგადასავლები. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა და ჩამატებათა ამ ნიმუშების ავტორები პირველ ყოვლისა სწორედ რუსთველური ლექსიკით, პოეტურ სახეთა მიბაძვითა და სტილური ინდივიდუალობის გამნსაზღვრელ სხვა ნიშან-თვისებათა გამოყენებით გამოხატავენ თავიანთ სათქმელს.

მიუხედავად იმისა, რომ მათი უდიდესი ნაწილის შემოქმედებითი პოტენცია რუსთველის პოეტურ სიმაღლეს ოდნავადაც კი ვერ შეედრება, რუსთველოლოგები იმასაც აღნიშნავენ, ზოგიერთი ფრაგმენტის მხატვრულ-საშემსრულებლო ოსტატობა საკმაოდ მაღალი რომაა და რუსთველური ოსტატობის დონესთან აშკარად მიახლოებული. მაგალითად (ქართული მწერლობა, 5, 1988: 31):

შენ გევედრები, მაღალო, მცნობელი გულისხმაოთაო,,
მომეც ძალი და შეწვენა, უფალო უფლებათაო,
ჩვენ ქება გვინდა მათ გმირთა, მათ ფერად კადრებათაო,

პირველად ტარიელისა და მერე მისთა ძმათაო.

როგორც ითქვა, რუსთველის პოემის ჟანრულ-ვერსიფიკაციული სივრციდან ქართული ლექსის თანდათანობითი გამოსვლის პროცესს ჩვენს პოეზიაში ფაქტობრივად XVIII საუკუნის დასაწყისიდან ეყრება საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული მცდელობები სულხან-საბა ორბელიანის, (1658-1725 წწ.) ვახტანგ მეექვსისა (1675-1737 წწ.) და რუსეთში მისი თანმხლები ამაღლის რამდენიმე წარმომადგენლის ლექსებშიც გვხვდება (მაგალითად, საბასთან - სპარსული ენიდან „ქილილასა და დამანას“ მისეულ თარგმანში ჩართული ლექსების სახით; ვახტანგ მეექვსესთან - ერთი ათმარცვლიანი („ვაი, სიკვდილო“) და მეორე - ვერლიბრის ელემენტებით გაჯერებული ლექსით - „ვახტანგური;“ მამუკა გურამიშვილთან - ლექსით - „მზეთა მზე“ და ა. შ.), ამ მიმართულებით მათზე უფრო პრიორიტეტული როლის შესრულება, ჩემის აზრით, მაინც მამუკა ბარათაშვილს (დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები უცნობია) მოუხდა.

კერძოდ, ქართულ პოეზიაში ახალი ვერსიფიკაციული ფორმების შემოტანისა და დამკვიდრების სურვილს, რაც უსათუოდ უნდა მივიჩნიოთ „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სივრციდან გამოსვლის მიზანსწრაფულ მცდელობად, მამუკა არა მარტო თავისი ლექსებით შეეცადა, არამედ 1831 წელს დასრულებული ნაშრომითაც - „სწავლა ლექსის თქმისა და დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ჭაშნიკისა.“

ხსენებულ სამეცნიერო ნარკვევში მან ლიტერატურის თეორეტიკოსის პოზიციებიდან გააანალიზა ქართული პოეზიის ვერსიფიკაციული სამყარო და კონკრეტული მაგალითების მოშველიებით წარმოაჩინა მანამდელ ჩვენს მწერლობაში არსებული სალექსო საზომები. როგორც მამუკას მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევითაც დასტურდება, ქართულ პოეზიაში რუსთველური შაირისაგან განსხვავებული სალექსო საზომების უმეტესობა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნამდელ პერიოდში არსებობდა, ხოლო რუსთველის პოემის დაწერის შემდგომ ხანაში შაირი უკვე იმდენად გაბატონებულ ვერსიფიკაციულ ფორმად იქცა, რომ განსხვავებული სალექსო საზომებით დაწერილი ლექსები მამუკას დროინდელ ქართულ პოეზიაშიც კი მხოლოდ კანტი-კუნტად თუ გვხვდებოდა.

აი, როგორ შეფასებას აძლევს მამუკა სულხან-საბას მიერ ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობას: „სულხან-საბა ორბელიანმა „ქილილა და დამანა“ გალექსა, თუმცა რუსთველის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი. იმაში ბევრი ხმა მოუყვანია, ამისთვის, რომ სპარსულში მრავალი Āმა იყო და რამთონ Āმათაც, რამდონ სტრიქონად იმაში იყო, ისე თქვა“ (ბარათაშვილი, 1969: 132).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ჭაშნიკის“ დაწერის უმთავრესი მიზანი იყო, მის ავტორს პრაქტიკული დახმარება გაეწია პოეტებისათვის მათ მიერ ახალი სალექსო საზომების გამოყენების საქმეში. აი, როგორ განმარტავს თავად მამუკა მისი თეორიული ნაშრომის ამ მიზანდასახულობას: „თუ ლექსის, გინა ტაეპისა, თქმა გინდა, ამ წერილებისა რომელისაც [ხმა] გინდოდეს,... თქვი“ (ბარათაშვილი, 1969: 132).

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ამგვარი სურვილის მიუხედავად, რუსთველის მძლავრ ზეგავლენას თავი ვერც თავად მამუკამ დააღწია და მისი პოეტური ტექსტების უმეტესობაც სწორედ რუსთველური შაირითაა შექმნილი.

რუსთველის შემდგომდროინდელი ჩვენი მწერლობის ისტორიაში ამ მიმართულებით არსებითად მნიშვნელოვანი როლის შესრულება უწინარეს ყოვლისა

დავით გურამიშვილს (1705-1792 წწ.) ხვდა წილად. ქრონოლოგიური თვალსაზრისით სწორედ იგი აღმოჩნდა პირველი პოეტი, რომელმაც ვერსიფიკაციულ ფორმათა მრავალფეროვნებითაც და სათქმელის მხატვრულად გამომხატველ საშუალებათა ორიგინალობითაც ქართულ პოეზიაში თვისებრივად სრულიად ახალი მიმართულება დაამკვიდრა. ასე რომ, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ქრონოლოგიური თვალსაზრისით იგი პირველ პოეტია, რომელმაც არა მარტო ვერსიფიკაციის სფეროში დააღწია თავი რუსთველის ზეგავლენას, არამედ პოეტური ინდივიდუალობის წარმომჩენ სხვა სახეობებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ რუსთველურ შაირს, როგორც სათმელის გამოხატვის ვერსიფიკაციულ ფორმას, მის შემოქმედებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, დ. გურამიშვილის პოეზიის დიდად ფასეულ წვლილს ჩვენი მწერლობის ისტორიაში არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მან ქართული ლექსის ვერსიფიკაციული სამყარო არაერთი ახალი და მანამდე ნაკლებად გამოყენებული საზომით გაამდიდრა და გაამრევალფეროვნა.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში აღნიშნული თვალსაზრისით ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ბესიკისა (1750-1791 წწ.) და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე სხვა ქართველი პოეტების შემოქმედება. სამოღვაწეო ასპარეზზე რომანტიკოსთა გამოსვლის შემდეგ კი ქართულმა პოეზიამ კიდევ უფრო მეტი ინდივიდუალობა შეიძინა, რის შედეგადაც რუსთველისადმი მიბაძვის ადრინდელი ტრადიცია უკვე საბოლოოდ იქცა წარსულის კუთვნილებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარათაშვილი მ. თხზულებათა სრული კრებული, თბ. 1969 წ.

კეკელიძე კ. ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1987 წ.

ქართული მწერლობა, ტომი პირველი, თბ. 1987 წ.

ქართული მწერლობა, ტომი მეხუთე, თბ. 1988 წ.

ქართული მწერლობა, ტომი მეექვსე, თბ. 1989 წ.

ემოციის გამომხატველი ენობრივი საშუალებები შოთა რუსთველის
„ვეფხისტყაოსანში“

ფილოლოგიის დოქტორი, რუსუდან საღინაძე

პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

r_saginadze@yahoo.com

რეზიუმე

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ კაცობრიობის მაღალ ზნეობრივ იდეალებს ეძღვნება. სიკეთე, სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება, თავდადება სამშობლოსათვის, ბედნიერება... – აი, ის, რისკენაც ისწრაფვიან პოემის გმირები. იდეალებისაკენ მიმავალ გზაზე ყველა თანასწორია, განურჩევლად წარმომავლობისა, წოდებისა, იერარქიისა. პოემის პერსონაჟები სხვადასხვა ქვეყნის შვილები არიან. ისინი ერთად იბრძვიან სიკეთის, მშვიდობისა და ბედნიერების მოსაპოვებლად. არაბი რაინდი ავთანდილი თავს არ ზოგავს, ტოვებს სამშობლოს, საყვარელ არსებას – თინათინს და მიდის განსაცდელში მყოფი უცხო მოყმის, ინდოელი ვეფხისტყაოსანი ჭაბუკის – ტარიელის დასახმარებლად. ორივე რაინდის გამარჯვებისთვის ზრუნავს მულღაზანზარელი მეფე ფრიდონი. როგორც ავტორი გვამცნობს, „მათ, სამთა გმირთა მნათობთა, სჭირს ერთმანერთის მონება“.

ადამიანთა ცხოვრება ყოველთვის როდია ია-ვარდით მოფენილი. ზოგჯერ ნარეკალიც იჩენს თავს, მაგრამ ამქვეყნად უცვლელი არაფერია: მწუხარებას მაინც სიხარული სძლევს, ბოროტებას – სიკეთე, სიმწარეს – სიტკბო, უბედურებას – ბედნიერება... თითოეულ მათგანს შესაბამისი განცდა და ემოცია ახლავს. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ცხოვრებაც ამგვარ მონაცვლეობასა და განცდებზეა აგებული, რაც გენიალურად გადმოსცა პოემაში შ. რუსთველმა უმშვენიერესი ქართული ენის გამომსახველობითი საშუალებების მოშველიებით. არაბეთის მეფის – როსტევანის მიერ უცხო მოყმის სანახავად მისულ მსახურებს ტარიელმა არც მოუსმინა, ხმაც არ გასცა: „არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან, არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან“. ტარიელი მწუხარეა. იმდენად დიდია სატრფოს – ნესტან-დარეჯანის – გადაკარგვით გამოწვეული განცდა, რომ მას არაფრის გაგონება არ სურს. ამ განწყობილებას მეტაფორულად ასახავს სახელური შესიტყვება „ვარდის კონა“ (= ბაგეები, ტუჩები). სხვა შემთხვევაში იგივე სახელი „ვარდი“ ზმნურ შესიტყვებაში „ვარდი გააპის“ დადებითი ემოციის, სიხარულის, გამომხატველია: „ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირვალ“, – ასე გადმოსცემს პოემის ავტორი ქაჯეთის ციხეში ტყვედ მყოფი ნესტან-დარეჯანის ემოციას. ინდოელი მეფე-ქალი ტარიელთან დაშორების გამო მწუხარეა, ცრემლსა ღვრის, მაგრამ შეიტყობს თუ არა, რომ ტარიელი ცოცხალია და მასთან გასაგზავნი წერილის წერას იწყებს, ხასიათიც ეცვლება, დადებითი ემოცია ღიმილს ჰგვრის; ზოგადად, ბედნიერების, სიხარულის გამოხატულებას „ია-ვარდი“: „გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე“, – მიმართავს არაბეთის მეფე თინათინი სპასპეტს, ავთანდილს. ზმნური შესიტყვებები: „ია მორგე“ და „ვარდი ყარე“ იმედის გამომხატველი მეტაფორებია.

მოხსენებაში ვრცლად იქნება მოცემული ემოციის გამომხატველი ენობრივი საშუალებების ამსახველი მასალა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: პერსონაჟები, იდეალები, ენობრივი

ŞOTA RUSTAVELİ’NİN KAPLAN POSTLU ŞÖVALYE ESERİNDE DUYGUSALLIĞI İFADE EDEN KALIPLAR

ÖZET

Şota Rustaveli’nin “Kaplan Postlu Şövalye” eseri insanlık tarihinin yüksek ahlaki değerlerine ithaf olunur. Eserin kahramanları iyilik, sevgi, vatanları uğruna fedakârlık, mutluluk gibi yüce vasıflarla donatılmışlardır. İdeallerine giden yolda herkes, hangi ırk, makam ve soya bakılmaksızın eşit haklara sahiptir. Farklı ülkelerin çocuklarından oluşan eserin kahramanları, hep birlikte iyiliği, barışı ve mutluluğu bulmak için mücadele vermektedirler. Arap şövalye Avtandil aşkı uğruna hiçbir fedakârlıktan kaçmayarak vatanını terk edip sevdiği kadın Tinatin’e ve büyük bir imtihanla karşı karşıya olan Hindistanlı Kaplan Postlu Şövalye Taniel’e yardıma koşmaktadır. İki şövalyenin de başarıya ulaşması için Kral Mulğazanzara Pridon büyük uğraşlar vermektedir.

İnsan hayatının her anı hiçbir zaman Gülpembe olamaz. Hayatın değişik aşamalarında insanın karşısına dikenli yollarda çıksa da buradan bu durumun sürekli devam edeceği anlamını da çıkarmak doğru değildir. Kötülüğü, iyilik; acıyı, tatlı; bahtsızlığı, mutluluk... tedavi etmektedir. Kahramanlarının yaşantılarındaki iniş çıkışlı halleri ve duygusallıkları üzerine kurulu “Kaplan Postlu Şövalye” eserindeki bu hususi durumu Şair Şota Rustaveli, okuyucularına Gürcü dilinin mükemmelliği ile sunmaktadır.

Arap Kralı Rostevan tarafından yabancı şövalyeyi görmek için giden hizmetçileri Taniel ne dinledi ne de söylediklerine karşılık verdi: Ne ağlamasını kesti, ne de bir şey duydu; ne ağzını açtı, ne de dudaklarını oynattı. Uğruna her şeyini feda edeceği aşkı Nestan’ı kaybettiği için çok üzgün olan Taniel, hiçbir şey duymak istemiyordu. Şair onun bu duygusal halini ifade etmek için eserinde dudaklar ve ağız anlamına gelen “Gül demeti” metaforunu kullanmaktadır. “Gül açılıyor” fiil kalıbında kullanılan “Gül” kelimesi olumlu duygunun, sevincin karşılığı olarak kullanılmaktadır. Şair Kaceti Hapishanesinde esir olarak tutulan Nestan Darecani’nin içinde bulunduğu duygusal hali “Gül gibi ağzı açıldı ve billur gibi dişleri parladı” dizesiyle ifade etmektedir. Taniel’den ayrı düştüğü için çok üzgün olan Hindistanlı kralın (Kadının) gözyaşları sel olmuştur. Aynı kral Taniel’in yaşadığını duyar duymaz ona göndermek üzere mektup yazmaya koyulur ve ağlayan gözlerinin yerini gülücükler alır. “Menekşe-Gül” mutluluğun ve sevincin sembolüdür. Arap Kralı Tinatin, kumandan Avtandil’e yazdığı “Kalbinin dışına menekşe ek ve üzerine gül saç” dizesinde geçen “Menekşe ek ve üzerine gül saç” kalıpları “Ümit” ifade eden metaforlardır.

Kaleme alacağımız bildiride “Duygu” konusunu içeren kalıplar Şota Rustaveli’nin muhteşem eseri “Kaplan Postlu Şövalye” eserine göre ayrıntılı şekilde ele alınacaktır.

Anahtar Kelimeler: Kahramanlar, idealler, dil kalıpları.

İRAKLİ ABAŞİDZE ŞİİRLERİNDE RUSTAVELİ’NİN ALGILAMASI (RECEPTİ)

Prof. Dr. Nestan KUTIVADZE

Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi, Kutaisi, Gürcistan, n.kutivadze@yahoo.com

ÖZET

20. yüzyıl ikinci yarısında Gürcü edebiyatında nitel yenileşme süreci 50’li-60’li-70’li yıllarında görünen yazarlar isimlere bağlıdır. Bu şairler milli edebiyatına birçok yenileme getirdiler ve dünya edebi süreçlerinin eğilimlerine seslenmeye çalıştılar. Ayrıca totaliter devlet baskısından kaynaklanan sebeplerden dolayı 20. yüzyıl birinci yarısının Gürcü edebiyatının kesilmiş olan en iyi geleneklerle organik bağlantısını yenileştirmeye çalıştılar.

Ünlü şair Irakli Abaşidze kendi tarzını özellikle 1950’li yıllarından belirtti ve aktif bir şekilde Gürcü edebiyatının şaheseri olarak tanınan “Kaplan postlu şövayle” metnini ve yazarının biyografisini incelemeye koyuldu. 1960 yılında İ. Abaşidze ünlü Gürcü bilimadamlar – Akaki Şanidze ve Giorgi Tsereteli ile birlikte Küdüs’e giden Cvari Manastırı’na ait olan eskilikleri araştırma heyetinin üyesidir. Şair şahsen Şota Rustaveli’nin yegane fresko keşfine şahit oldu. Ayrıca şair 1963-1985 yıllarında Gürcistan Bilimler Akademisi’nin müdürünün idaresine giren “Kaplan postlu şövayle” akademik metnini belirten komisyonu başkanı olduğunu altını çizerek belirtmek de lazım. Bütün bunlar tabii ki onun şiirsel hayal gücünü besler ve şairane hasaslığına güçlü bir ilham vermektedir.

Rustaveli’nin şairane imgesi İ. Abaşidze’nin şiirlerinde ilk 1934 yılında görüyoruz. “Rustaveli yüzü birlikler evi sütunlu salonunda” şiiri Sovyet edebi söylemini çok açık bir şekilde göstermektedir. Ancak bu olgu genel olarak milli özsaygı gösterme olanağına ve aynı zamanda Gürcü kültürünün bu şahane eserini Avrupa’ya tanıtmaya ve popularizasyonu için yeni bir araca dönüştüğünü de söylememiz gerekir.

Küdüs heyetinin çalışmasından sonra yazılmış şiirleri – “Küdüs, Küdüs” daha önce yazılmış ve çok enteresan olarak sayılan “Rustaveli’nin peşinde” şiirine rağmen bir başka etap olarak değerlendirilmektedir. Bununla birlikte yukarıda zikrettiğimiz etapta şairin dünya görüşü ve amentüsü daha iyi görünüp eserlerinde felsefi ve vatanperverlik konulu şiirleri yeni bir seviyeye ulaştırılmakta olduğunu belirtmek istiyorum. Buna şair son derece mükemmel üstat olarak seçkin edebi formu yardımıyla ulaşıyor. Edebi formunun esasında şiddetli bir duygu ve olguların derin, zaman-makam mesafesinden algılama hüneri görebiliyoruz. Hünerse metni modern okurlar için daha anlayışlı, şairi ise daha ince zevkli olarak bize tanıtıyor.

Anahtar Kelimeler: Edebi süreci, algılama (receptio), şiir dönemi, Sovyet edebi söylemi.

რუსთაველის რეცეფცია ირაკლი აბაშიძის პოეზიაში

რეზიუმე

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში თვისებრივი განახლების პროცესი იმ შემოქმედთა სახელებს დაუკავშირდა, რომლებიც უმთავრესად 50-60-70-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე. მათ არაერთი სიახლე მოიტანეს ეროვნულ მწერლობაში და შეეცადნენ არამხოლოდ მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ტენდენციებს შეხმიანებოდნენ შეძლებისდაგვარად, არამედ აღედგინათ ორგანული კავშირი მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ კულტურაში არსებულ საუკეთესო ტრადიციებთან, ტოტალიტარული სახელმწიფოს ზეწოლის შედეგად რომ შეწყდა.

ცნობილი ქართველი პოეტი ირაკლი აბაშიძე, რომლის პოეტური სტილი 1950-იანი წლებიდან განსაკუთრებით გამოიკვეთა, აქტიურად არის ჩართული ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შედევრის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და მისი ავტორის ბიოგრაფიის კვლევაში. 1960 წელს ი. აბაშიძე ცნობილ ქართველ მეცნიერებთან - აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად იერუსალიმში ჯვრის მონასტრის სიძველეთა შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიციის წევრია და უშუალოდ ხდება მონაწილე შოთა რუსთაველის უნიკალური ფრესკის აღმოჩენისა. აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტი 1963-1985 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე გახლდათ. ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, ნაყოფიერად კვებავს მის პოეტურ ფანტაზიას და ძლიერ მუხტს აძლევს პოეტურ მგრძნობელობას.

პირველად რუსთაველის პოეტური ხატი აბაშიძის პოეზიაში ჯერ კიდევ 1934 წელს გაჩნდა. ლექსი „რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“ ნათლად აჩვენებს საბჭოთა ლიტერატურულ დისკურსს, თუმცა ვერც იმას უარყოფთ, რომ ეს ფაქტი ზოგადად ეროვნული სიამაყის გამოხატვის საშუალებად და იმავდროულად ქართული კულტურის ამ შედევრის ევროპისათვის გაცნობისა და პოპულარიზაციის ახალ შესაძლებლობად იქცა.

იერუსალიმის ექსპედიციის შემდგომ შექმნილი პოეტური ციკლი - „პალესტინა, პალესტინა“, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არსებობდა, საკმაოდ საინტერესო ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“, მიჩნეულია ერთგვარ ეტაპად, საიდანაც კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება ავტორის მსოფლმხედველობრივი კრედო და მის შემოქმედებაში ახალ სიმაღლეზე ადის ფილოსოფიური და პატრიოტული ლირიკა. ეს მიღწეულია ზედმიწევნით ოსტატურად შერჩეული მხატვრული ფორმით, რომლის საფუძვლად ძლიერი ემოცია და მოვლენათა სიღრმისეული, დრო-სივრცული დისტანციიდან გააზრების უნარია ქცეული, რაც საგულისხმოს ხდის ტექსტს თანამედროვე მკითხველისათვის, ხოლო ავტორს დახვეწილი გემოვნების მქონე პოეტად წარმოაჩენს.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურული პროცესი, რეცეფცია, პოეტური ციკლი, საბჭოთა ლიტერატურული დისკურსი.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში თვისებრივი განახლების პროცესი იმ შემოქმედთა სახელებს დაუკავშირდა, რომლებიც უმთავრესად 1950-60-70-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე. მათ არაერთი სიახლე მოიტანეს ეროვნულ მწერლობაში და შეეცადნენ არამხოლოდ მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ტენდენციებს შეხმიანებოდნენ შეძლებისდაგვარად, არამედ აღედგინათ ორგანული კავშირი მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ კულტურაში არსებულ საუკეთესო ტრადიციებთან, ტოტალიტარული სახელმწიფოს ზეწოლის შედეგად რომ შეწყდა.

ცნობილი ქართველი პოეტი ირაკლი აბაშიძე, რომლის პოეტური სტილი 1950-იანი წლებიდან განსაკუთრებით გამოიკვეთა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აღიარებული ავტორია, მაგრამ ეს არ არის მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთადერთი სფერო. პოეტი აქტიურად არის ჩართული XII საუკუნის ქართული

მწერლობის უმნიშვნელოვანესი პოეტური ეპოსის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და მისი ავტორის - შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის კვლევაში. 1960 წელს ი. აბაშიძე ცნობილ ქართველ მეცნიერებთან - აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად იერუსალიმში ჯვრის მონასტრის სიბველეთა შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიციის წევრია და უშუალოდ მონაწილეობს შოთა რუსთაველის უნიკალური ფრესკის აღმოჩენაში. აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტი 1963-1985 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე გახლდათ. ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, ნაყოფიერად კვებავს მის პოეტურ ფანტაზიას და ძლიერ მუხტს აძლევს პოეტურ მგრძნობელობას.

პირველად რუსთაველის პოეტური ხატი აბაშიძის პოეზიაში 1934 წელს გაჩნდა. ლექსი „რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“ ნათლად აჩვენებს საბჭოთა ლიტერატურულ დისკურსს, თუმცა ვერც იმას უარყოფთ, რომ ეს ფაქტი ზოგადად ეროვნული სიამაყის გამოხატვის საშუალებად და იმავდროულად ქართული კულტურის ამ შედეგის ევროპაში გატანის შესაძლებლობად იქცა.

ირაკლი აბაშიძე, რომელიც თავად იყო 1934 წელს მოსკოვში (ყოფილი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში) გამართული საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის მონაწილე, ნახევარი საუკუნის შემდეგაც დიდ აღტაცებას გამოხატავდა სვეტებიან დარბაზში შოთა რუსთაველის პორტრეტის გამოფენის გამო: „ქართულ მწერლობაზე მოხსენების მეორე დღეს, სვეტებიანი დარბაზის პირველსავე სვეტზე, მსოფლიოს სხვა დიდ კლასიკოსთა გვერდით, ჩამოჰკიდეს შოთა რუსთაველის სურათი. მე არა ერთხელ დამიწერია და ახლაც მინდა გავიხსენო ის აღტაცება, რომელმაც ყრილობის დარბაზი მოიცვა და, მათ შორის, რასაკვირველია, პირველ რიგში, ჩვენი ქართული დელეგაცია“, - წერდა პოეტი მოგვიანებით (აბაშიძე, 1989: 105). ეს პასაჟი მკაფიოდ აჩვენებს, რამდენად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი მწერლები ამ მოვლენას.

განცდა, რომელიც აბაშიძეს, როგორც ამ ყრილობის მონაწილეს, უშუალოდ დაეუფლა, რეფლექსირდა ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ლექსშიც. ტექსტი მხატვრული თვალსაზრისით არ არის გამორჩეული ავტორის შემოქმედებაში. მას ერთი თემა და აღტაცების ემოცია გამსჭვალავს - „დასავლეთ-აღმოსავლეთისათვის“ საუკუნეების განმავლობაში უცნობი პოემა შვიდასი წლის შემდეგ რუსეთის, ჩრდილოეთის, ნებით იწყებს ახალ სიცოცხლეს. პოეტს არ შეუძლია ამ ყველაფერს მხოლოდ გონების თვალთა უცქიროს და არ აღფრთოვანდეს დროის ასეთი შთამბეჭდავი ცვლილების გამო. ეს სულისკვეთება გასდევს მთელ ლექსს, რაც მოულოდნელი სულაც არ არის, ხოლო, თუ მხედველობაში მივიღებთ გარკვეული დროის შემდეგაც ავტორის თითქმის ისეთივე დამოკიდებულებას, მაშინ სავსებით კანონზომიერ რეაქციადაც უნდა ჩაითვალოს.

ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაში რუსთაველის პოეტური რეცეფცია სრულიად განსხვავებულად ვლინდება მოგვიანებით შექმნილ ორ ციკლში: „რუსთაველის ნაკვალევზე“ (1959) და „პალესტინა, პალესტინა!“ (1963).

„რუსთაველის ნაკვალევზე“ შვიდი ლექსისაგან შემდგარი ციკლია, რომელსაც ინდოეთში ირაკლი აბაშიძის მოგზაურობის პოეტური დღიურებიც შეიძლება ეწოდოს. მათში პოეტის შთაბეჭდილებათა ლირიკული რეფლექსიებია მოცემული.

ევფრატისა და ტიგროსის ნაპირებზე მცხოვრებ უძველეს შუმერებისა და ხეთების, ქალდეას გამქრალი ქალაქების ალუზირებით ირ. აბაშიძე დროთა ვითარებაში უძველესი კულტურების დასრულებასა და ლეგენდებად ქცევას ეხმიანება („ფესვები“), მასში სამყაროსეულ კანონზომიერებას ხედავს ავტორი და მიიჩნევს, რომ მითებში დარჩენა მარადიულ სიცოცხლეს გულისხმობს.

ირაკლი აბაშიძე ინდოეთში საკუთარ მოგზაურობას აღიქვამს, როგორც წინაპრის გზის განმეორებას („რუსთაველის ნაკვალევზე“), რადგან შესაძლებელია არაბეთსა თუ ინდოეთში შოთა რუსთაველიც იყოს ნამყოფი. საერთოდ, რიტორიკული კითხვებით გაჯერებულ სტროფებში მკაფიოდ მჟღავნდება XX საუკუნის პოეტის რწმენა, რომ მან შეძლო რუსთაველის ნაკვალევთან მიახლოება, თუმცა კვალი შვიდასმა წელმა წაშალა, რითაც კვლავ წარმავლობის თემას უბრუნდება ავტორი: „ინდოეთში / რუსთაველის კვალს დავემებ, - / აღარც აქ ჩანს / შვიდასი წლის შემდეგ“ (აბაშიძე, 1969: 113).

ციკლი აირეკლავს იმ ლიტერატურული თუ არალიტერატურული რეფლექსიებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში კვებავდა ქართველი ხალხის წარმოდგენებს რუსთაველისა და თამარ მეფის (საქართველოს მეფე XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე) მიჯნურობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს არაერთი მხატვრული თხზულება დაიწერა. განსხვავებული მხატვრული ღირებულების მიუხედავად, ეს ტექსტები ასახავს ქართველი ერის ძალზე მგრძნობიარე დამოკიდებულებას თავისი თვალსაჩინო პოეტის საიდუმლოებით მოცული ცხოვრებისა და აღსასრულის შესახებ. ამ მხრივ, აღსანიშნავია ლექსი - „რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“. ტექსტი ერთადერთ კითხვას მოიცავს - რა არის რუსთაველის ასეთი გაუჩინარების მიზეზი? ირაკლი აბაშიძე, რა თქმა უნდა, აქცენტებს აკეთებს ზოგადად ყველა სამეფო კარისათვის დამახასიათებელ შურსა და გაუტანლობაზე, მაგრამ გადახვეწის მიზეზად მაინც სიყვარულს ასახელებს, რაც საუკუნეთა განმავლობაში არსებული ლეგენდის პოეტური რეცეფციაცაა და თავად ავტორის ჰუმანისტური პოზიციაც.

შოთა რუსთაველთან დაკავშირებული მეორე ციკლი „პალესტინა, პალესტინა“ იერუსალიმში პოეტის მოგზაურობის შემდეგ შეიქმნა. ციკლი მიჩნეულია ეტაპად, საიდანაც კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება ავტორის მსოფლმხედველობრივი კრედო და მის შემოქმედებაში ახალ სიმაღლეზე ადის ფილოსოფიური და პატრიოტული ლირიკა, ამასთან ერთად კარგად ვლინდება კლასიკური ლიტერატურული ტრადიციებისადმი ერთგულებაც (ნიკოლეიშვილი, 2002: 450-451).

ციკლისათვის წამმდვარებულ ეპიგრაფში ავტორი გასაღებს აძლევს მკითხველს, როგორ უნდა აღიქვას მასში რეპრეზენტირებული მხატვრული სამყარო. თითოეული ლექსი წარმოდგენილია როგორც რუსთაველის ხმა, რომელიც ირაკლი აბაშიძეს მოესმის იმ ადგილებში, სადაც, სავარაუდოდ, რუსთაველი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს გაატარებდა. ეს მხატვრული დეტალი ნაყოფიერია პირველი ციკლის შემთხვევაშიც, მაგრამ ამჯერად ავტორი თავად აკეთებს აქცენტს ამ პასაჟზე.

XX საუკუნის პოეტი მტკივნეულად განიცდის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სამშობლოდან შორს აღესრულა. „თეთრი აჩრდილის კვალდაკვალ დევნა“ („ვინ იცის როგორ მელის ვარძია“) ამძაფრებს შთაბეჭდილებებსა და აცოცხლებს ვნებებს, აჩენს

კითხვებს, რომლებზეც პასუხების მიებაა თოთოეული ლექსი, მიუხედავად იმისა, რომ ეს კითხვები, როგორც წესი, რიტორიკული ხასიათისაა.

ციკლში ოსტატურად ინტერპრეტირდა როგორც აბაშიძის ფილოსოფიური თვალთახედვა, ისე პოემის ირგვლივ არსებული რელიგიური რეფლექსიები („ხმა ჯვრის მონასტრის გაღავანთან“), სასულიერო და საერო პოეზიის დაპირისპირება, რომელიც XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურული დისკურსის ერთ-ერთი უმთავრესი ტენდენციაა. ამგვარ კონტექსტში მოიაზრებოდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“, მიუხედავად იმისა, რომ დიდი მგოსანი ამის პარალელურად აღიარებული ლიტერატურული ავტორიტეტიც იყო. აბაშიძის აღქმით, რუსთაველი ქრისტიანული მცნებების ერთგული ხელოვანია. ლექსის ავტორს ის ჩვეულებრივ ადამიანად ჰყავს წარმოდგენილი, თავად უფლისაგან რომ ებოძა შემოქმედების ნიჭი. როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს კი სურდა განეცადა თავისუფლების სიტკობო და შემეცნების სიხარული. ლექსში გენიალური პოეტის შეუპოვარი ხასიათი, მეამბოხე სულია წინა პლანზე წამოწეული, რაც შემთხვევითი არაა. ბედთან შეგუებული, თუნდაც მხცოვანი, პოეტი მიუღებელი ჩანს ყველა დროსა და ეპოქაში თავად ავტორისთვისაც.

ირაკლი აბაშიძე საგანგებო ხოტბას ასხამს მშობლიურ ენას. პოეტისათვის დედა ენა („ხმა კატამონთან“) აღქმულია არა მხოლოდ უცხოეთში მყოფი რუსთაველის ერთადერთ უღალატო დასაყრდენად, არამედ სამყაროდ, რომელშიც ზოგადად ადამიანი ცხოვრობს, აზროვნებს, აგებს პოეტურ თუ სხვა ტიპის ხატებს. აქ დედაენა, შოთას პირით, გააზრებულია უკვდავ ფენომენად. ხსოვნა შეიძლება წაიშალოს, ნერგი შეიძლება ვერ აღმოცენდეს, ტაძარიც შეიძლება დაინგრეს, მაგრამ ენა არასდროს შეიმუხრება, ის მარადიული ფასეულობაა. ეს ყოველივე კი გადმოცემულია რთული მეტაფორული სახეების გარეშე, მაგრამ ტევადი და ემოციური, არაჩვეულებრივი ოსტატობითა და დინამიზმით აგებული სტროფებით.

ბაროკოს ესთეტიკის თავისებური გამოძახილი ისმის ლექსში - „ხმა გოლგოთასათან“, რომელშიც ღვთის სამსჯავროს წინაშე მყოფი ადამიანის/პოეტის განცდებია წარმოსახული. აბაშიძის აზრით, შემოქმედის ტანჯვა შესაძლებელია ქრისტეს ხორციელ ტანჯვას გაუტოლდეს, ისიც ურყევად სწამს, რომ რუსთაველის დარად სხვათა გულთა მეუფის (ღმერთის) გულში ჩახედვის უნარიც არავის აქვს. ჯვარცმაც, მისი აღქმით, სხვა არაფერია, თუ არა ჯილდო და პატიება, იმისათვის, რომ მიწის კაცი - ცოდვილი - წუთისოფელში ჭეშმარიტებას ეძიებდა ისევე, როგორც უცოდველი ღმერთი შეუდგა ჭეშმარიტებას. აქ ისევ რიტორიკულ კითხვებად აღიმართება, შეძლო თუ არა დასახულის განხორციელება შოთამ, რომლისთვისაც ქრისტე ჭეშმარიების ძიებაში დიდი ჯვარცმულია და რომელთან შედარებით თავი უსუსურ არსებად მიაჩნია. ეს არ არის საკუთარი ხელოვნების მიმართ გამოხატული ეჭვი. აბაშიძის აზრით, რუსთაველი ღმერთთან მოსაუბრე პოეტი და ადამიანია, რომელიც სიკვდილის პირისპირ მყოფიც ეძებს ჭეშმარიტების არსს და ღმერთისაგან ელის პასუხს. ღმერთს, როგორც მარადიულ, უმაღლეს ინსტანციას ავედრებს მამულსა და ენას.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ შოთა რუსთაველის პოეტური ხატი ირაკლი აბაშიძის შემოქმედების ერთ-ერთი შთამბეჭდავი თემაა. გენიალური წინაპრის სადღეისოდაც კი მწირად ცნობილი ცხოვრებისეული პერიპეტეები შვიდი საუკუნის

შემდეგ კიდევ უფრო აღელვებს და აფორიაქებს მის ნაკვალევზე დამდგარ XX საუკუნის ხელოვანს. ამ თემაზე შექმნილი ლექსების, რომელთაგან რამდენიმე პოეტურ შედევრადაცაა აღიარებული, ლიტერატურული წარმატება მიღწეულია ზედმიწევნით ოსტატურად შერჩეული მხატვრული ფორმით, რომლის საფუძვლად ძლიერი ემოცია და მოვლენათა სიღრმისეული, დრო-სივრცული დისტანციიდან გააზრების უნარია ქცეული, რაც საგულისხმოს ხდის ტექსტს თანამედროვე მკითხველისათვის, ხოლო ავტორს დახვეწილი გემოვნების მქონე პოეტად წარმოაჩენს.

ლიტერატურა:

ირაკლი აბაშიძე (1969), რჩეული, თბილისი.

ირაკლი აბაშიძე (1989), გუმბინ, გუმბინწინ (წერილები, მოგონებები), თბილისი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი (2002), XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი.

Yirminci yüzyılın ikinci yarısında Gürcü Edebiyatında ortaya çıkan niteliksel yenilenme süreci genellikle 1950-60-70'li yıllarda faaliyet gösteren yazarlarla ilişkilidir. Söz konusu yazarlar, Gürcü Milli Edebiyatında birçok yeniliğe yol açıp sadece Dünya Edebiyatındaki yeni trendlere elden geldiğince seslenmeyi değil de, Gürcü Edebiyatında yirminci yüzyılın ilk çeyreğinde mevcut olan ve totaliter devletin baskısı ile kesilen en iyi edebi geleneklerle doğal bağlantıyı tekrar kurabilmeyi başaramışlardır.

Ünlü Gürcü şairi Irakli Abaşidze, ki onun şiirsel üslubu 1950-li yıllardan başlayarak özellikle şekillenmiştir, tanınmış ve takdir edilen yazarlardan birisidir fakat, bu onun edebi faaliyetlerin tek alanı değildir. Şair, XII yüzyılın Gürcü edebiyatının başeseri olan “Vephistkaosani” (“Kaplan Postlu Şövalye”) metnin ve yazarı Şota Rustaveli’nin biyografik bilgileri araştırılmasına katkılarda bulunmuştur. 1960 yılında İ. Abaşidze ünlü Gürcü bilim adamları olan Akaki Şanidze ve Giorgi Tsereteli de dahil, elyazmaları araştırma bilimsel heyeti ile birlikte Kudüs’teki Cvari Manastırı ziyaret eder. Adı geçen ziyaret sırasında İ. Abaşidze, diğer bilim adamlarıyla birlikte manastırda Şota Rustaveli’ye ait olan duvar resmini keşfetmiştir. Burada, şunu da belirtmekte de fayda var ki 1963-1985 yıllar arasında Irakli Abaşidze Gürcistan Bilimler Akademisindeki “Vephistkaosani” araştırma komisyonu başkanlığı yapmıştır. Bütün bunlar ise onun şiirsel hayal gücünü önemli ölçüde arttırıp eserlerinde de yansıtılmıştır.

Abaşidze’nin şiirinde Rustaveli’nin poetik imgesi ilk defa 1934 yılında öne çıkmıştır. “Sovyetler Evinin Sütünlü Salonunda’ki Rustaveli’nin İmgesi” adlı şiiri Sovyet edebi söyleminin açık bir örneği olmasının yanı sıra şüphesiz ki, Rustaveli’nin Gürcü ve Dünya Edebiyatlarındaki yer ve önemini vurgulanmanın iyi bir fırsatı teşkil etmiştir.

Irakli Abaşidze 1934 yılında Moskova’da (Sovyetler Birliğinin başkenti) düzenlenen Yazarlar Kongresine bizzat katılmıştı ve oradaki salonda sergilenen Şota Rustaveli portresinden etkilendiğini ustaca şiirsel bir dille ifade etmiştir: “Gürcü Edebiyatı hakkında yapılan sunumun ikinci gününde, sütünlü salonunda büyük dünya klasik yazarların portrelerin yanında Rustaveli’nin portresini duvara asmışlardı. Birçok kez yazdığım gibi şimdi de o olayı büyük bir memnuniyetle hatırlamak isterim, oradaki herkes ve tabi ki öncelikle bizler – Gürcü yazarlar heyeti - inanılmaz bir heyecan duymuşuzdur” (Abaşidze, 1989: 15). Bu pasaj, Gürcü yazarların adı geçen olaya ne kadar büyük bir önem verdiklerini açıkça segilemektedir.

Söz konusu kongreye bizzat katılan Abaşidze’nin olayla ilgili tecrübesi o olaya atfedilen şiirinde de yansıtılmıştır. Yazarın diğer eserleri ile kıyaslandığında şiirin metni edebi üslup bakımından özel bir yapıtı teşkil etmez. Şiirde belli bir konu ve heyecan duyguları ön plana çıkmaktadır – “Batı-Doğu” tarafından yüzyıllarca bilinmeyen edebi eser yedi yüz yıl sonra

Rusya, yani Kuzey aracılığıyla yeni bir hayat evresine girebilmiştir. Şair, bütün bunları sadece akıl gözü ile bakmakla yetinemeyip zaman koşulların bu kadar köklü bir değişiminden heyecan duyar. Bu tematik, şairin bütün bir yapısında hissedilmektedir ki bu olgu sıradışı bir şey değildir zaten. İrakli Abaşıdze, adı geçen olayından yıllar sonra da onunla ilgili aynı heyecanı duymuştur ki onun (yazarın) olaya olan tavrı birhayli doğal bir tepki sayılmalıdır.

İrakli Abaşıdze'nin yazarlığında Rustaveli'nin poetik algılayışı ortaya koyduğu iki eserde çok farklı bir biçimde karşımıza çıkmaktadır: “Rustaveli'nin Peşinden” (1959) ve “Filistin, Filistin!” (1963).

“Rustaveli'nin Peşinden” adlı derleme yedi şiirden oluşan bir eserdir. Söz konusu eser, İrakli Abaşıdze'nin Hindistan ziyaretinin poetik günlüğü olarak da adlandırılabilir. Eserde şairin izlenimlerinin lirik yansımaları verilmiştir. Fırat ve Dicle kıyılarında yaşayan eski Sümer'ler ve Hitit'lerden, Kalde uygarlığının tahrip edilmiş şehirlerin imalarından etkilenecek İrakli Abaşıdze zaman akışıyla beraber yok olan kültürlerin yok oluşuna ve efsanelere dönüştürülmesine seslenip (“Kökler”) bu olguda evrensel düzen yasasını görür ve mit'lerde kalmayı ebedi hayat olarak değerlendirir.

İrakli Abaşıdze, Hindistan ziyaretini şanlı atasının bir zamanda katettiği yolunun tekrarı olarak görür (“Rustaveli'nin Peşinden”) çünkü Arabistan veya Hindistan'ı Şota Rustaveli de ziyaret etmiş olabilirdi. Genel olarak, retorik sorularla dolu satırlarda XX-ci asrın şairin inanışı açıkça görünür – Abaşıdze, Rustaveli'nin adımlarına yaklaşılabildiğine inanmıştı fakat, aradan geçen yedi yüz yıl Rustaveli'nin ayak izlerini ortadan kaldırmıştır. Burada şair geçicilik konusuna geri dömektedir: “Hindistan'da / Rustaveli'nin izlerini arıyorumdur, - / ne burada görünür onlar / yedi yüz yıl sonra” (Abaşıdze, 1969: 113).

Yazarın yazdığı şiir derlemesi Gürcü Milleti'nin asırlar boyunca Rustaveli ve Kraliçe Tamar (XII-XIII) arasında (olası) aşk münasebeti hakkındaki edebi ve edebi olmayan yansımalarını içerir. Bununla ilgili farklı zamanlarda birçok edebi eser ortaya konmuştur. Değişik edebî-sanatsal değerlerine rağmen söz konusu metinler Gürcü Milleti'nin büyük şairin gizemli bir hayat ve ölümüne ilişkin son derece hassas bir tavrı yansıtmaktadır. Bu bağlamda, Abaşıdze'nin “Çorak'larında Rustaveli'nin Sesi” adlı şiiri ilgiye değer. Söz konusu şiirde temel bir soru öne çıkmakta – Rustaveli'nin bu kadar gizlice ortadan kaybolmasının sebebi nedir? Tabi ki, İrakli Abaşıdze bütün monarşi'lerde yaygın olan kıskançlık ve güvenilmezliği bunun olası bir neden olarak getirir fakat, İrakli Abaşıdze için şairin başka ülkelere gitmesinin sebebi yine de aşk'tır. Zaten, böylesi bir versiyon asırlar boyunca ciddiye alınıp genişçe kabul edilmiştir.

Şota Rustaveli ile ilgili şairin “Filistin, Filistin!” adlı ikinci derlemesi araştırmacının Kudüs ziyaretinden sonra yazılmıştır. Söz konusu derleme'de yazarın dünya görüşü daha da net bir şekilde ortaya konulup onun yazarlığında felsefi ve vatanseverlik tematiği yeni bir aşamaya yükseltir, bununla birlikte şairin klasik edebî geleneklerine olan bağlılığı da açıkça görünür (Nikoleişvili, 2002: 450-451).

Derlemenin önsözünde yazar şiirlerinde temsil edilen edebî evrenin anahtarını okuyucuya sunar. Her bir şiir Rustaveli'nin sesi olarak okuyucuya sunulur ki İrakli Abaşıdze o sesi öylesi yerlerde duyar ki Rustaveli o yerlerde muhtemelen hayatının son günlerini geçirmişti. Bu edebî detay birinci derlemesinde de önemli bir yer tutar fakat, burada artık yazar olgunun altını özellikle çizer.

XX-ci yüzyılın şairi “Vephistkaosani” yazarın vatanından uzaklarda hayatına vedalaştığını üzüntü ile algılar. “Beyaz gölgenin ardından koşmak” (“kim bilir, Vardzia beni ne kadar sabırsızlıkla bekler”) izlenimleri ve hevesleri yeniden canlandırır, soruları ortaya atar ki herbir şiir o sorulara cevap aranmanın bir teşebbüsüdür – sorular, genellikle retorik manalı olsa da.

Derlemede, hem Abaşıdze'nin felsefi görüşü hem de destan (“Vephistkaosani”) hakkındaki dini yansımaları (“Cvari Manastırı Duvarının Yanında”), XVI-XVIII yüzyıllarda Gürcü edebî

söyleminde yaygın olan dini ve seküler şiirlerin mücadelesi yansıtılmıştır. Şota Rustaveli'nin "Vephistkaosani", şairin büyük bir yazar olarak bilinmesine rağmen bu bağlamda değerlendirilmekte idi. Abaşidze'ye göre Rustaveli Hristiyan buyruklarına bağlı olan bir sanatkardır. Şiirin yazarı onu (Şota'yı) yaratıcılığın ve hayal gücünün Tanrı'dan atfedilmiş sıradan bir insan olarak görür. Nitekim, özgürlüğün tatlılığı ve kavramanın heyecanı sıradan bir ölümlü olarak yaşamak istiyordu O. Şiirde dahi bir şairin azimli, isyancı bir karakteri ön plana çıkarılır ki bu tesadüfi bir olgu değildir. Kadere boyun eğen bir şair – yaşlı bile olsa – her devirde ve yazarın kendisine bile kabul edilemez bir olgudur.

İrakli Abaşidze ana dili olan Gürcüce'yi över. Şair tarafından ana dili ("Katamon Yanındaki bir Ses") sadece yabancı bir memlekette yaşayan Rustaveli için tek bir çare değil de, genel olarak bir insanın içinde yaşadığı, düşündüğü, poetik ve diğer türlü imgelerin kurduğu bütün bir evren olarak algılanır. Burada ana dili, Şota'nın söylemi ile ölümsüz bir fenomen şeklinde karşımıza çıkar. Hatıra silinebilir, fidan yetişemeyebilir, tapınak da yıkılabilir, fakat dil hiçbir zaman yok olmaz, dil ebedi bir varlıktır çünkü. Bütün bunlar ise karmaşık metaforik imgeleri kullanılmadan fakat genişçe ve duygusal, sıradışı ustalıklı ve dinamizm ile düzenlenmiş satırlar aracılığıyla ortaya konulmuştur.

Barok estetiğine has bir yankı "Golgota Yanındaki bir Ses" adlı şiirde açıkça duyulur ki burada Yaradan'ın karşısına çıkarılan insan/şairin deneyimleri işlenir. Abaşidze'ye göre sanatçı birinin ızdırabı ancak İsa'nın fiziksel ızdırabıyla kıyaslanabilir, hem de Abaşidze, Rustaveli gibi hiç kimsenin Yaradan'ı anlayamadığından emindir. Çamrılığa gerilmesi de, yazara göre günahlı bir insan tarafından fiziki dünyada hakikatı arama girişiminden başka bir şey değildir – tıpkı insan biçimine giren Tanrı'nın hakikatı aradığı gibi. Burada, Şota'nın amaçladığını ulaşıp ulaşamadığı sorusu tekrar retorik sorular biçiminde karşımıza çıkmaktadır ki burada Şota İsa'yı hakikatı ararken feda edilen yüce, kendisini ise çelimsiz biri olarak görür. Bu, sanatçı tarafından kendi sanatına karşı duyulan bir şüpheyi yansıtır. Abaşidze'ye göre Rustaveli Yaradan'la konuşabilen bir şair ve insandır ki ölümün karşısında bile hakikatı arayıp Yaradan'dan cevap bekler. Ebedi ve sonsuz bir varlık olan Tanrı'ya ise kendi vatanını ve ana dilini teslim eder.

Son olarak şunu demeliyiz ki, Şota Rustaveli'nin poetik imgesi Irakli Abaşidze eserlerinde başlıca konulardan birini teşkil etmektedir. Şanlı ataların az bilinen hayati bilgileri şair ve araştırmacı olan Abaşidze'yi yedi yüz yıl sonra bile heyecanlandırıp tahrir eder. Konu hakkında yazılan şiirleri büyük ustalıklı düzenlenmiştir ki onlarda şairin güçlü duygu ve olguların derin kavrayabilme yeteneği açıkça görülür. Bütün bunlar şairi günümüzün en sofistیک bir sanatçı olarak okuyucuya sunar.

KAYNAKÇA

ირაკლი აბაშიძე (1969), რჩეული, თბილისი. (İrakli Abaşidze, 1969, Derlemeler, Tbilisi.

ირაკლი აბაშიძე (1989), გუმბინ, გუმბინწინ (წერილები, მოგონებები), თბილისი. İrakli Abaşidze, 1989, Dün, Önceki Gün (Mektuplar, Hatıralar), Tbilisi.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი (2002), XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი. Avtandil Nikoleishvili, 2002, XX Yüzyılın Gürcü Edebiyatı, Kutaisi.

საგანმანათლებლო ვითარება რუსთაველის ეპოქის საქართველოში

სულხან კუპრაშვილი - ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

გიგა ქამუშაძე - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

რეზიუმე:

XII – XII საუკუნეებში ანატოლია, კავკასია და წინა აზია იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკური სიმბიძის ცენტრებს წარმოადგენდა. საქართველო მაშინდელი კავკასიის რეგიონის ლიდერი ქვეყანა იყო, როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული და საგანმანათლებლო თვალსაზრისით. ამ პერიოდის საქართველოს ისტორიას „რუსთაველის ეპოქას“ უწოდებენ. სწორედ ამ ეპოქის საქართველოში ჩამოყალიბდა ორი უმაღლესი სასწავლებელი: გელათის აკადემია დასავლეთ საქართველოში და იყალთოს აკადემია აღმოსავლეთ საქართველოში.

გელათის აკადემია საქართველოს ძველი დედაქალაქთან - ქუთაისთან მდებარეობს და მისი მშენებლობა დაიწყო საქართველოს მეფემ დავითმა 1106 წელს და დაასრულა მისმა შვილმა დემეტრემ 1130 წელს. გელათის აკადემიაში დიდი რაოდენობით მოღვაწეობდნენ ფილოსოფოსები, მთარგმნელები, მწერლები, პოეტები და სხვანი; გელათის აკადემია "ქართული რენესანსის იდეოლოგიურ ცენტრად" გადაიქცა. გელათის აკადემია წარმოადგენდა როგორც სამეცნიერო, ასევე სასწავლო კერასაც. აკადემიაში დისციპლინათა სწავლება აგებული იყო ცნობილ სისტემაზე trivium-quadrivium, ე.ი. ისწავლებოდა შვიდი დისციპლინა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია", რადგან ბიზანტიის ბევრ უმაღლეს სკოლაშიც სწორედ სწავლების ასეთი სისტემა არსებობდა.

ქართველი მკვლევარები ფიქრობენ, რომ გელათის აკადემიაში ისწავლებოდა მედიცინაც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს გელათში კომპლექსისა და აკადემიის დაარსების შემდეგ უშუალოდ მოთხრობილი აქვს დავითის მიერ საავადმყოფოს, აშენების შესახებ, რომელიც აკადემიის რექტორს ექვმდებარებოდა.

საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში - კახეთში მდებარე იყალთოს აკადემია გელათის სასწავლების დამფუძნებლებმა დაარსეს. ამ ორივე უმაღლესი სკოლის მესვეურებს განათლება ევროპასა და ბიზანტიის იმპერიაში ჰქონდათ მიღებული. ისევე, როგორც გელათის აკადემიაში, იყალთოს აკადემიაშიც სწავლება ძირითადად trivium-quadrivium ციკლის საგნებს ითვალისწინებდა. ანუ ღვთისმეტყველება, რიტორიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, გეოგრაფია, გეომეტრია, გალობა და ა.შ. ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა და მევენახეობა-მეღვინეობა იყალთოს აკადემიაში ფართოდ იყო გაჩაღებული მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა. უცხო ენებიდან ითარგმნებოდა მრავალი მნიშვნელოვანი თხზულება, მრავლდებოდა ხელნაწერები, იქმნებოდა ძვირფასი წიგნები.

საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად გელათის აკადემია პარალელურად ასრულებდა საქართველოს სამეფო საგანმურისა და ხანდახან ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი რეზიდენციის ფუნქციას.

აღსანიშნავია, რომ ორივე უმაღლესი სასწავლებელი უშუალოდ საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა და გელათის აკადემიის რექტორი მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის წევრად ითვლებოდა, რაც მოწმობს შუა საუკუნეების საქართველოში განათლების სისტემის საკმაოდ მაღალ დონეს.

საკვანძო სიტყვები: რუსთაველის ეპოქა, განათლების სისტემა, გელათის აკადემია, იყალთოს აკადემია, ქართული რენესანსი.

RUSTAVELİ ÇAĞINDA GÜRCİSTAN'DA EĞİTİM SİSTEMİ DURUMU

ÖZET

12.-13. yüzyıllarda Anadolu, Kafkas ve Küçük Asya o dönemde dünyanın siyasi merkeziydi. Gürcistan o dönemin hem siyasi, hem kültürel ve eğitim açıdan bölgenin lider ülkesiydi. O dönem Gürcistan tarihine “Rustaveli çağı” denir. İki yüksek okulun – Batı Gürcistan’da Gelati Akademisi’nin ve Doğu Gürcistan’da İkalto Akademisi’nin kurulmasını bu dönemde gerçekleştirildi.

Gelati Akademisi eski başkenti Kutaisi’nin yakınlarında bulunmaktadır. Akademi inşa etmeye Gürcistan kralı 4. Davit tarafından 1106 yılında başlanmış, ancak 1130 yılında oğlunun tarafından tamamlanmıştı. Gelati Akademisi’nde çok sayıda filozof, çevirmenler, yazarlar, şairler vs. çalışmalarında bulunmaktaymışlar. Gelati Akademisi “Gürcü rönesans ideoloji merkezine” dönüşmüş. Gelati Akademisi hem bilimsel, hem eğitim merkeziymiş. Ders programları bilinen trivium-quadrivium sistemine göre düzenlenmişti. Bizansların birçok okullarında olan sistemine dayanarak geometri, sayı bilgisi, müzik, retorik, dil bilgisi, felsefe ve astronomi gibi yedi ders vermekteymiş.

Gürcü bilimadamlar Gelati Akademisinde tıp da öğrettiğini düşünmekte. 4. Davit Ağmaşenebeli dönemi tarihçisi Gelati’de külliye ve akademi kurmaktan sonra kralın emriyle akademi rektörüne bağlı olan hastane inşa edildiği hakkında bize yazılı bilgi vermişti.

Gürcistan’ın doğu bölgesinde – Kaheti’de bulunan İkalto Akademisi Gelati kurucuların tarafından tesis edilmiş. Her iki merkezinde uğraşan bilge adamlar eğitimlerini Avrupa ve Bizans imparatorluğunda görmüşlerdi. Gelati Akademisi’nde olduğu gibi İkalto Akademisi’nde öğretim sistemi esas olarak trivium-quadrivium sistemine dayanmıştı yani ilahiyat, ritorik, astronomi, felsefe, coğrafiya, geometri, ilahi şarkıların yanı sıra demircilik, çincilik ve tarımcılık gibi meslekleri öğretiliyormuş. Yabancı dillerden çok sayıda önemli eser çevriliyormuş, el yazma evrakları çoğaltılıp muhteşem kitapları yazılıyormuş.

Eğitim fonksiyonu olan Gelati Akademisi aynı zamanda Gürcistan krallığı hazinesi ve bazan da devlet hükümetinin resmi konut yerinin fonksiyonu da taşıyormuş.

Her iki yüksek okulu direk Gürcistan kralına bağlı olup Gelati rektörü Gürcistan hükümetinin üyesi sayılıyormuş. Bu olgu orta çağ Gürcistan eğitim sisteminin oldukça yüksek seviyesi olduğunu göstermektedir.

Anahtar Kelimeler: Rustaveli çağı, eğitim sistemi, Gelati Akademisi, İkalto Akademisi, Gürcü Rönesansı.

მე-12 საუკუნე და მე-13 საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიის “ოქროს ხანაა”. ამ პერიოდს სხვაგვარად შოთა რუსთაველის ეპოქასაც უწოდებენ. საქართველოს სახელმწიფომ ამ პერიოდში თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. იმ პერიოდის მსოფლიოს პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი ანატოლიაში, წინა აზიასა და კავკასიაში მდებარეობდა და, გამომდინარე აქედან, ძლიერი

სახელმწიფოებრიობის პირობებში აუცილებელი იყო ძლიერ სახელმწიფოს ძლიერი განათლების სისტემა ჰქონოდა. სწორედ მე-12 საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი პირველ უმაღლეს სასწავლებლებს საქართველოში. არსებობს ცნობები, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის სანაპიროზე, არსებობდა ფაზისის აკადემია. ეს იყო ანტიკური პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უმაღლესი სასწავლებელი. ამ აკადემიაში განათლება მიუღიათ ცნობილ ფილოსოფოსებს - დემეტრიოსს და ევგენიოსს. გელათის აკადემია საქართველოს ყველაზე ძლიერმა მეფემ დავით აღმაშენებელმა დააარსა 1106 წელს. გელათი დასავლეთ საქართველოში საქართველოს ძველ დედაქალაქთან, ქუთაისთან, ახლოს მდებარეობს და აკადემია მონასტრის მიდამოებში იქნა დაარსებული. მეფე დავითის პერიოდშივე გელათის აკადემია ცნობილი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრი გახდა. დავითმა აკადემიაში მასწავლებლებად მოიწვია მაშინდელ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები მეცნიერები. ყველას ანაზღაურება დაუნიშნა და ცხოვრების კარგი პირობები შეუქმნა. ისტორიკოსები აღიარებენ, რომ გელათის აკადემიის დაარსებას ძალიან ფართო მიზნები ჰქონდა. გელათში უნდა შექმნილიყო კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედების დიდი ცენტრი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ გელათის აკადემიას უნდა ჰქონოდა ის ფუნქცია, რაც თავის დროზე ჰქონდა ბერძნულ ათენს და იერუსალიმს. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია მონასტრის ტერიტორიაზე მდებარეობდა, იგი სასულიეროსთან ერთად საერო-ფილოსოფიური აზროვნების დიდი ადგილი იყო. გელათის აკადემია თავის კედლებში თავს უყრიდა ქართული კულტურის ყველაზე უფრო გამოჩენილ და პროგრესულ წარმომადგენლებს. მე-12 საუკუნეში გელათი გადაიქცა ქართული რენესანსის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად. გელათის აკადემიაში დავითმა მიიწვია ქართული კულტურის ის წარმომადგენლები, რომლებიც იმ დროს მოღვაწეობდნენ ბიზანტიის უმაღლეს სასწავლებლებში. აღსანიშნავია, რომ გელათის აკადემიას ხელმძღვანელობდა რექტორი, რომელიც „მოღვართ-მოძღვარის“ ტიტულს ატარებდა. აკადემიის ხელმძღვანელს მთელს ქვეყანაში უდიდესი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული. გელათის აკადემიის რექტორი ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობის პირად ითვლებოდა საქართველოში და მაშინდელი სავაზიროს, ანუ მინისტრთა კაბინეტის სხდომებსაც კი ესწრებოდა.

მე-12 საუკუნეშივე საქართველოში მეორე აკადემიაც დაარსდა აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის პროვინციის ტერიტორიაზე. არსებობს ცნობები, რომ იყალთოს აკადემია ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეშივე არსებობდა. არაბთა ლაშქრობების შედეგად ამ აკადემიამ არსებობა შეწყვიტა და 1114 წელს გელათის აკადემიიდან წასულმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა არსენ იყალთოელმა აღადგინა.

არსენ იყალთოელი აკადემიის პირველი რექტორი იყო. მან თარგმნა და ერთ კრებულში - „დოგმატიკონ-ში“ გააერთიანა ბიზანტიის მწერალთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებები ანასტას სინელის „წინამძღვარი“, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, მისივე რამდენიმე პოლემიკური ნაშრომი თეოდორე აბუკარის პოლემიკური ეპისტოლენი, მიქაელ ფსელოსის „პირმშოთათვის“, კირილე ალექსანდრიელის, ნიკიტა სტიტატის, ლეონ პაპის დოგმატურ-პოლემიკური თხზულებანი. არსენ იყალთოელმა თარგმნა ასევე „დიდი სჯულის კანონი“, გიორგი ამარტოლის „ხრონოლრაფი“ და სხვა.

არსენ იყალთოელი თარგმანებს ურთავდა ფილოლოგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისით საინტერესო სქოლიოებს. აღსანიშნავია, რომ მას მოიხსენიებენ ანატომიის მცოდნედ. მასვე ეკუთვნის სასულიერო შინაარსის იამბიკოები. დავით აღმაშენებლის საფლავის ეპიტაფია. არსენ იყალთოელს შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელო, რომლითაც ასწავლიდა გელათის და იყალთოს აკადემიებში.

არსენ იყალთოელი შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ კრებაში, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიურ-დოგმატიკური საკითხების გადაწყვეტას. არსენ იყალთოელის პოზიცია ერეტიკოსების მიმართ შეურიგებელი და მკაცრი იყო. იგი ფილოსოფიაში იგი სქოლასტიკის და არისტოტელის მიმდევარი იყო.

1114 წლამდე არსენ იყალთოელი გელათის აკადემიაში მოღვაწეობდა იოანე პეტრიწთან ერთად. არსენი და იოანე ერთმანეთის იდეური მოწინააღმდეგეები იყვნენ. მიუხედავად ამისა, მათ შეუცვლელი როლი ითამაშეს ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. ორივე მეცნიერს მანგანის აკადემია ჰქონდათ დამთავრებული ბიზანტიის იმპერიაში. გელათის აკადემიის დაარსებით დავით აღმაშენებელი ბიზანტიური განათლების ალტერნატივას ქმნიდა საქართველოში და ცდილობდა პოლიტიკური და საგანმანათლებლო ცენტრი ბიზანტიიდან საქართველოში გადმოსულიყო.

ძალიან საინტერესოა, რა მეთოდებით მიმდინარეობდა სწავლა-განათლება ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში.

მკვლევართა აზრით, გელათისა და იყალთოს აკადემიებში ძირითადად სწავლების ისეთივე სისტემა უნდა ყოფილიყო შემოღებული, როგორც საერთოდ იმდროინდელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში. კერძოდ, ბიზანტიაში უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმაში შვიდი დისციპლინა იყო საყოველთაოდ სავალდებულო. ეს სამეცნიერო დისციპლინები გახლავთ ე.წ. trivium – quardivium-ის (სამი + ოთხი) ციკლი გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. ამ შვიდი დისციპლინის სწავლება სავალდებულო იყო ყველგან, მაგრამ ამა თუ იმ სასწავლებელში, ადგილობრივი საჭიროებისდა მიხედვით, შეიძლებოდა დამატებითი საგანი ყოფილიყო გეგმაში შეტანილი. ჩვენ ვიცნობთ ბიზანტიის უმაღლესი სკოლების ისეთ გეგმას, სადაც იმ შვიდი დისციპლინის გარდა, იყო მედიცინა; ზოგან შეტანილი იყო (მაგალითად ბეირუთში) სამართლის მეცნიერება, სხვაგან კდიევ სხვა. რაც შეეხება საქართველოს უმაღლეს სკოლებს, ქართულ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე მკვლევარნი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ აქ, კერძოდ გელათში, სავალდებულო უნდა ყოფილიყო ზემოთხსენებული შვიდი დისციპლინა. ასეთი ვარაუდის გამოთქმისას მკვლევართ მხედველობაში აქვთ იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური ნაწარმოები „განმარტება პროკლე დიადოხოსის და პლატონური ფილოსოფიისათვის“, რომლის ბოლოსიტყვაობაშიც იგი დაწვრილებით მსჯელობს ზემოაღნიშნულ შვიდ სამეცნიერო დისციპლინაზე, თუ რომელი მათგანი რისთვის არის საჭირო, რომელი მათგანი რა დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ქმნის.

იონე პეტრიწი ჯერ trivium-ში შემავალ დისციპლინებზე - გეომეტრიაზე (ქვეყნის სამზომლო), არითმეტიკაზე (რიცხვნი) და მუსიკაზე (სამუსო) მსჯელობს, რომლებიც

სადვთისმეტყველო განათლების პირველ ციკლად აქვს წარმოდგენილი. ცოტა უფრო ქვემოთ იოანე პეტრიწი მეორე ციკლის (quadrivium) თითოეული სამეცნიერო დისციპლინის (დრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხვეულობა) განმარტებას იძლევა.

ქართველი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გელათის აკადემიაში ისწავლებოდა მედიცინაც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს გელათში მონასტრისა და აკადემიის დაარსების შემდეგ, უშუალოდ მოთხრობილი აქვს დავითის მიერ საავადმყოფოს აშენების შესახებ.

ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევარებს მიაჩნიათ გელათში საავადმყოფოს არსებობა და აკადემიაში მედიცინის სწავლებაც. მისი აზრით, "გელათის საექიმო საქმიანობასთან და უმაღლესი სამედიცინო განათლების არსებობასთან უნდა იყოს დაკავშირებული არსენ იყალთოელის მიერ იოანე დამასკელის "გარდამოცემის" მეორედ თარგმნა ქართულ ენაზე და იოანე პეტრიწის მიერ ნემესიოს ემესელის "ბუნებისათვის კაცისას" გადმოღება ბერძნულიდან.

ორივე ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე გელათში მათი მოღვაწეობის პერიოდს ეკუთვნის". გელათის აკადემიაში ისწავლებოდა მედიცინა და "ბუნებისათვის კაცისა" სახელმძღვანელოდ იყო განკუთვნილი.

ვარაუდობენ აგრეთვე, რომ გელათის აკადემია ამზადებდა მხატვრებს, ფერწერის ოსტატებს, რომ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ოქროჭედური ხელოვნების წინსვლის საქმეშიც. სავარაუდოდ, გელათის აკადემიაში ყურადღება ექცეოდა აგრეთვე საერთოდ მსოფლიო ისტორიისა და განსაკუთრებით საქართველოსა და კავკასიის წარსულის შესწავლას. როგორც აღნიშნავენ მანგანის აკადემიაშიც ისწავლებოდა ისტორია (როგორც საერთო, ისე რელიგიის) და ლიტერატურა (საბერძნეთის, რომის).

საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად გელათის აკადემია პარალელურად ასრულებდა საქართველოს სამეფო საგანძურისა და ხანდახან ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი რეზიდენციის ფუნქციას.

აღსანიშნავია, რომ ორივე უმაღლესი სასწავლებელი უშუალოდ საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა და გელათის აკადემიის რექტორი მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის წევრად ითვლებოდა, რაც მოწმობს შუა საუკუნეების საქართველოში განათლების სისტემის საკმაოდ მაღალ დონეს.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართული უმაღლესი განათლების სისტემა უძველესი ქართული აკადემიების მემკვიდრედ გვევლინება და ცდილობს განაგრძოს შუა საუკუნეებში ჩასახული დიდი ტრადიციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2007 წელი;
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III, საბჭოთა საქართველო, თბილისი 1979 წელი;
3. ვ. სილოგავა, კ. შენგელია, საქართველოს ისტორია, სალექციო კურსი, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2006 წელი;

4. გ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი, ქართული კულტურის ისტორია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1997 წელი;
5. კულტუროლოგია, გამომცემლობა სამართლიანი საქართველო, თბილისი 2009 წელი;
- ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1948 წელი.

RUSTAVELİ’NİN KAPLAN POSTLU ŞÖVALYE ADLI UZUN ŞİİRİNDE BOLLUK - ÜLKENİN SOSYAL VE POLİTİK DÜZENLEMESİNDEKİ BAŞARININ TEMELİ

Doç. Dr. Luka DVALISHVILI

Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi/Gürcistan, lukadvalishvili1961@gmail.com

ÖZET

Shota Rustaveli'nin *Kaplan Postlu Şövalye Uzun Şiirinin* dünya görüşünün temeli, her şeyden önce, sınırsız insanlık ve yönetilemez hümanizmdir. Araştırmacılarına göre Rustaveli, dünya edebiyatı tarihindeki ilk gerçekçi yazarlardan biri olarak düşünülebilirdi (K. Kekelidze, A. Baramidze). Buna göre, Kaplan Postlu Şövalye Uzun Şiirinde geçen idealler ve bilgelik devletin siyasi düzenlemesi ve kamu-özel faaliyetlerinde Rustaveli döneminden sonra pratikte kullanıldı.

Shota Rustaveli'nin *Kaplan Postlu Şövalye Uzun Şiirinin* ana karakterlerinden biri olan, Arabistan kralı Rostevan, kızı olan Tinatini'nden kendisini kral yaptığında – devletin başarılı yönetmesi, güçlendirmesi ve devleti huzurlu yaşatmasını istemişti: “*Güneş ışıkları, gül ile gübreyi düzenli olarak ısıttığı için kendisinden de hiç farksız olarak zengilerle fakirleri korumasını ister, merhametli insanın deliyi bağlayacağını, bol sadaka vermesini söyler*”.

Dünya tarihinde halk tarafından nefret edilen aşırı açgözlülü ve cimri olan pek çok hükümdar vardır. Dolayısıyla, bir ülkede bu gibi rahatsız edici kişilerin olması ülkenin zayıflamasına yol açmıştır. Şiirsel bilgelik: „*Merhametli insan deliyi bağlar*” kuşkusuz bir gerçektir. Şiirin Yazarına göre: “*Merhametli ve halkını seven hükümdar, devlete ve kamuya karşı düşmanca ruhu hali olan birilerden bir sevgi dolu bir kişiyi yapabilir*”.

Rustaveli, üst düzey yetkililerin üstünlüğünün özel bir önemi olduğunu vurgulamaktadır. “*Kralların ortasında, tanrıçaların sadakati yüksek olduğu için, sadakatsiz olan herkese bu kadar itaatkardır*”. Sonuç olarak, Rustaveli'nin resmi kayıtsızlığı kınadığını ve yetkilileri ülkeyi akıllı ve aktif uygulamalarla canlandırmaya çağırdığını söyleyebiliriz.

Bu nedenle, Rustaveli'nin yaşamının bilgeliği - bolluğun pratik önemi, özgün bir formül olarak ifade edilebilir: “*Bolluktan sadakat doğar, deli bağlanır. Sadakat aşktır; aşk tüm kötülöklere katlanmak için dostluk ve karşılıklı dayanışma sağlar*”.

Böylelikle, Rustaveli'nin Yüce Otoritesinin astlarına yönelik zenginliği ve cömertliği, ülkenin sosyo-politik açıdan başarılı bir şekilde düzenlenmesi ve canlanmasının temelini oluşturmaktadır.

Anahtar Kelimeler: Shota Rustaveli, Kaplan Postlu Şövalye Uzun Şiiri, Bolluk, Ülke, Siyasi Düzenleme, Yetki, Merhamet.

**KAPLAN POSTLU ŞOVALYE ESERİ VE ESKİ GÜRCÜ MANZUMESİNİN
NAZIMSAL YAPISI**

**Prof. Dr. Avtandil Nikoleișvili, Kutaisi Akaki Tsereteli Devlet
Üniversitesi Gürcü Dili ve Edebiyatı Bölümü,
E-mail: avtandil.nikoleishvili@gmail.com**

Şota Rustaveli'nin ölümsüz eseri “Kaplan Postlu Şövalye” üzerine çalışma yapan birçok edebiyatçının ortak noktası, yapıtın sonraki dönemlerde kaleme alınan manzumeler gelişimi üzerinde oluşturduğu baskıdır. Daha net söylemek gerekirse Manzume Yazarı Şota Rustaveli'nin eseri, XII. yüzyıldan XVIII. yüzyıla kadar devam eden süreçte ortaya konulan eserlerde belirleyici unsur olmuştur.

Söz konusu dönemde kaleme alınan Gürcü manzumelerdeki Rustaveli'nin yapıtının oluşturduğu baskı o kadar büyüktü ki Gürcü şairlerin bağımsız eser ortaya koymalarına engel oluşturuyordu. XVIII. yüzyılın orta dönemlerine kadar yazılan bütün eserlerde “Kaplan Postlu Şövalye”ye vurgu yapılması ve eserdeki ölçütlerin kullanılması bu durumun en önemli göstergelerinden biridir. O dönemin bütün manzume yazarları Rustaveli'yi örnek alıyor ve onun kalıplaşmış cümlelerini eserlerinde kullanıyordu.

Şiirimizde bulunan tek heceli formlarla kaleme alanlar (istisnalar hariç), Rustaveli şairidir. Şiirsel alanda sözlerini, Rustaveli'nin manzumesinin sözlerini ve sekmelerini yazarak sunmaya çalışmak için şiirsel kelimeler yazan birçok yazar vardır; Bunun yanı sıra, Rustaveli taklitinde, hepsi sanatsal ifadenin tek biçimi olarak kabul edilir. Bunun açık ifadesi, nesir sürecinin işleyişinin önceki dönemde işlenmesinin aktif olarak devam ettiği gerçeğidir; Dahası, bu çağdaki hemen hemen her şairin eserlerinde, olağan hikâye Rustaveli şiirsel yüzlerinin ve cümlelerinin kullanılmasıdır.

Rustaveli'nin manzumesinin etkilerinden çıkılmasının temelleri XVIII. yüzyılın başlarına rastlamaktadır. Bu döneme kadar Sulhan Saba Orbeliani (1658-1725) ve VI. Vahtangi (1675-1737) kaleme aldıkları şiirlerde Rustaveli'nin etkisinden kurtulma adına girişimde bulunmuş olsalarda bu önemli görev Mamuka Barataşvili'ye nasip olmuştur. Mamuka Barataşvili, Gürcü manzumesinin nazımsal yapısının temellerini sadece yazmış olduğu şiirlerde ortaya koymakla kalmayıp, aynı zamanda (1831 yılında) yazmış olduğu “Stsavlâ Leksis Tkmsa – Şiir Söyleme Sanatı” eseri ile de perçinlemiştir.

O, bilimsel literatür teorisyen kompozisyonunda Gürcü şiirinin şiir dünyasını inceledi ve belirli örneklerle dayanarak o zamanki nesirinde mevcut olan ayetin boyutlarını gösterdi.

Davit Guramişvili de bu bağlamda yapmış olduğu çalışmalarla Rustaveli sonrasındaki dönemlerde Gürcü edebiyat tarihinde önemli rol oynamıştır (1705-1792). Kronik açıdan nazım kalıplarının zengin yapısını ilk kez Gürcü edebiyatına kazandıran Guramişvili, bu sayede Gürcü manzume sanatında yeni bir alan kazandırmış oldu.

Eski Gürcü edebiyat tarihinde Besik (1750-1791) ve XVIII. yüzyılda yaşamış diğer Gürcü şairlerin kaleme aldıkları eserler çok büyük önem arz etmektedir. Romantizmin Gürcü edebiyatına adım atmasıyla Gürcü şiir sanatı daha da bir özgür konuma erişti ve Rustaveli'nin “Kaplan Postlu Şövalye” eserinin etkileri ve bu bağlamda ortaya çıkan geleneksel tarz tamamen ortadan kalkmış oldu.

„ვეფხისტყაოსანი“ და ძველი ქართული პოეზიის

ვერსიფიკაციული სტრუქტურა

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ღირსებათა წარმოჩენის დროს მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება იმ უდიდეს ზეგავლენასაც სავსებით

კანონზომიერად აქვს მიქცეული, რომელიც პოემის ავტორმა მისი მომდევნო საუკუნეების ქართული პოეზიის განვითარებაზეც მოახდინა. კერძოდ, რუსთველმა თავისი უკვდავი პოემით ფაქტობრივად ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა ის მაგისტრალური მიმართულება, რითაც XII საუკუნიდან მოყოლებული სულ მცირე XVIII საუკუნემდე ქართული მხატვრული აზროვნება და პოეტური კულტურა პირველ ყოვლისა სწორედ რუსთველის მძლავრი ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული თავისი ყველა არსებითი პარამეტრით.

ხსენებული პერიოდის ქართულ პოეზიაზე რუსთველის პოეტური ზეგავლენა იმდენად დიდი მასშტაბების მომცველ მოვლენას წარმოადგენდა, რომ იგი ქართველ მწერალთა შემოქმედებითი ინდივიდუალობის შეუზღუდველად წარმოჩენის შემფერხებელ ფაქტორადაც კი იქცა გარკვეულწილად. ერთი შეხედვით სწორედ ამ პარადოქსული მოსაზრების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის დროიდან დაწყებული XVIII საუკუნის თითქმის შუა პერიოდამდე ქართველ პოეტთა მიერ დაწერილი თითქმის ყველა პოეტური ტექსტი „ვეფხისტყაოსნის“ მძლავრი ზეგავლენითაა შექმნილი.

ერთადერთი სალექსო ფორმა (გარდა უიშვიათესი გამონაკლისებისა), რომელიც ხსენებულ პერიოდის ჩვენს პოეზიაშია დამკვიდრებული, რუსთველური შაირია. სამოღვაწეო ასპარეზზე მრავლად გამოდიან პოეტურ სიტყვას შეჭიდებული ის ავტორები, რომლებიც თავიანთი პოეტური შესაძლებლობების წარმოჩენას „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებისა და ჩანართების დაწერით ცდილობენ; ამასთან, რუსთველის მიზამდით, ნააზრევს მხატვრულად გამოხატვის ფაქტობრივად ერთადერთ ფორმად ყველა მათგანი პოემას მიიჩნევს. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ აქტიურად მიმდინარეობს ადრინდელ პერიოდში შექმნილი პროზაული ნაწარმოებების გალექსვის პროცესი; თანაც, ხსენებულ ეპოქაში მოღვაწე თითქმის ყველა პოეტის შემოქმედებაში ჩვეულებრივ ამზად ითვლება რუსთველური პოეტური სახეებისა და ფრაზების გამოყენება და ა. შ.

ასე რომ, მკვლევართა არაერთგზისი ხაზგასმით, „XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე, შესაძლოა ნაწილობრივ უფრო ადრეც, ჩამოყალიბებულა „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართებისა და დამატებების, ანუ გაგრძელებათა მთელი ციკლი. რუსთველის პოემას შემატებია როგორც ცალკეული სტროფები, ისე მთელი ეპიზოდები („ამბები“)" (კეკელიძე, ბარამიძე, 1987: 304).

ყოველივე ზემოთქმულის კიდევ ერთხელ ნათელსაყოფად, ქვემოთ შევეცდები, კონკრეტული არგუმენტების მოშველიების საფუძველზე წარმოვაჩინო ის მძლავრი ზეგავლენა, რომელიც „ვეფხისტყაოსანმა“ მოახდინა შემდგომი საუკუნეების ქართულ პოეზიაზე ვერსიფიკაციული თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ტექსტების მიხედვით, ქართული პოეტური ჟანრის ისტორია VIII-IX საუკუნეებიდან იწყება. თუმცა ქართულ მწერლობაში ამ ჟანრობრივ სახეობას დასაბამი გაცილებით ადრეც რომ მიეცა, ამას ჩვენამდე მოღწეული პოეტური ზეპირსიტყვიერების ის ნიმუშებიც

ადასტურებს, რომელთაც მკვლევრები გაცილებით ადრე შექმნილ ტექსტებად მიიჩნევენ.

აქედან გამომდინარე, „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომდროინდელ ქართულ პოეზიაზე შოთა რუსთველის პოემის მძლავრი ზეგავლენის შესახებ კონკრეტული საუბრის დაწყებამდე, რამდენიმე სიტყვა იმ მდგომარეობაზეც მივყავართ, რომელიც რუსთველის წინარე ხანის ქართულ პოეზიაში არსებობდა ვერსიფიკაციული თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, ხსენებული პერიოდის ქართული პოეტური ტექსტების ვერსიფიკაციული სტრუქტურა არსებითად განსხვავდებოდა XI საუკუნემდე შექმნილი ამავე ჟანრის ნაწარმოებების სალექსო ფორმებისაგან. კერძოდ, მათი ვერსიფიკაციული აღნაგობა და რიტმულ-მუსიკალური ხმეობა იმდენად განსხვავებული იყო, რომ ბევრი მათგანი თანამედროვე გაგებით მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება მივიჩნიოთ პოეტური ჟანრის ტექსტად.

ამ თვალსაზრისით არსებითი გარდატეხის წარმომჩენი პირველი საგულისხმო ნიშნები ქართული მწერლობის ისტორიაში ფაქტობრივად XI საუკუნიდან ვლინდება. კერძოდ, თუ პოეტურ ჟანრს მიკუთვნებული მანამდელი ტექსტების (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა) სალექსო სტრუქტურა არც მყარად განსაზღვრულ ვერსიფიკაციულ ჩარჩოებში იყო მოქცეული და არც ამ ჟანრის კლასიკური ნიმუშებისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი რიტმულ-მუსიკალური ჟღერადობით გამოირჩეოდა, ხსენებული პერიოდიდან მოყოლებული, ქართულ პოეზიაში უკვე ჩნდება და თანდათანობით ძლიერდება იმ პოეტურ ქმნილებათა ხვედრითი წილი, რომლებიც აღნიშნული თვალსაზრისით აშკარად განირჩევიან მანამდე შექმნილი ლირიკული ტექსტებისაგან.

ქართული ლექსის ისტორიაში მომხდარი სწორედ ამ გარდამტეხი მოვლენის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იმდროინდელ პოეზიაში ჩანასახოვანი ანდა მეტ-ნაკლებად უკვე დასრულებული სახით გვხვდება ის ვერსიფიკაციული ფორმები, რომელთაც საკმაოდ დიდი ადგილი დაიმკვიდრეს შემდგომი პერიოდის ქართულ მწერლობაში.

ხსენებულ ვერსიფიკაციულ საზომთაგან მაშინდელ ქართულ პოეზიაში უმთავრესად სამი სახეობა გამოიკვეთა: ოცი (ათ+ათი), თექვსმეტი (რვა+რვა) და თორმეტმარცვლიანი სალექსო ფორმები. ამათ გარდა, ისეთი ნიმუშებიც გვხვდება, რომელთა ვერსიფიკაციული მხარე მკაცრად განსაზღვრულ რიტმულ და მარცვლებრივ ჩარჩოებში არ თავსდება და ქართულ პოეზიაში თავისუფალი ლექსის ანუ ვერლიბრის პირველ ნიმუშებადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

მანამდელი ქართული პოეტური ტექსტებისაგან განსხვავებით, სადაც თითქმის საერთოდ არ გვხვდებოდა რითმა და მთლიანად იყო უარყოფილი რიტმულ-მუსიკალური ელემენტი, „ვეფხისტყაოსნის“ წინარე ხანაში შექმნილ პოეტურ ტექსტებში ამ მხარეს უკვე აქვს მიქცეული მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ყურადღება.

კერძოდ, ამ თვალსაზრისით მომხდარი არსებითი გარდატეხის პირველ წარმომადგენლებად შეიძლება მივიჩნიოთ X-XI საუკუნეებში მოღვაწე პოეტური სიტყვის ისეთი ოსტატები, როგორებიც იყვნენ: იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელი, ფილიპე ბეთლემელი, მიქელ მოდრეკილი, გიორგი მთაწმიდელი, ბორენა დედოფალი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და სხვები. მათ მიერ შექმნილ პოეტურ ტექსტებში უკვე გვხვდება აშკარად, ანდა მეტ-ნაკლებად ნიშანდობლივი სახით, გამოკვეთილი ზემოთ დასახელებულ სალექსო საზომები.

აქვე, წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვერსიფიკაციულ საფუძვლად ქცეული თექვსმეტმარცვლიანი სალექსო საზომის პირველი ნიმუშების შექმნის მცდელობებსაც სწორედ აღნიშნულ პერიოდში ჰქონდა ადგილი. მხედველობაში მაქვს ფილიპე ბეთლემელისა და იოანე-ზოსიმეს პოეტური ტექსტები.

კერძოდ, რევაზ თვარაძის ხაზგასმით, იოანე-ზოსიმეს „ანდერძი იადგარისა“ „მნიშვნელოვანი ლექსი იმითაც არის, რომ თექვსმეტმარცვლიანი საზომის ჩანასახოვანი ფორმით არის შესრულებული“ (ქართული მწერლობა, 1, 1987: 721); ხოლო ფილიპე ბეთლემელის „ქება ბეთლემისა, ქალწულისა და ძისა“ „მარტივი რითმებით გაწყობილი თექვსმეტმარცვლიანი ლექსის პირველსახეს წარმოადგენს“ (ქართული მწერლობა, 1, 1987: 723).

X-XI საუკუნეების ქართულ პოეზიაში მეტ-ნაკლები სიცხადით გამოვლენილმა ამ პროცესმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა XII საუკუნეში მოღვაწე პოეტების: იოანე შავთელის, ჩახრუხადისა და არსენ იყალთოელის შემოქმედებაში. კერძოდ, წინამორბედი ავტორებისაგან განსხვავებით, მათ მიერ შექმნილი პოეტური ტექსტები უკვე არა მარტო მყარად ჩამოყალიბებულ ვერსიფიკაციულ ჩარჩოებშია მოქცეული, არამედ მდიდარი და მუსიკალურად მეტად კეთილხმოვანი რითმებითაცაა გამართული. თუმცა აქვე ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ პოეტურ ქმნილებათაგან თექვსმეტმარცვლიანი საზომით მხოლოდ არსენ იყალთოელის ერთსტროფიანი ლექსი - „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“ და ჩახრუხადის „თამარიანის“ ფრაგმენტია დაწერილი.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდანაც თვალნათლივ ჩანს, „ვეფხისტყაოსამდელი“ პერიოდის ქართულ პოეზიაში თექვსმეტმარცვლიანი სალექსო საზომი სულაც არ ასრულებდა პრიორიტეტულ როლს. ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა მან მხოლოდ რუსთველის შემდგომდროინდელ ქართულ პოეზიაში შეიძინა და მომდევნო ხუთი-ექვსი საუკუნის განმავლობაში ლამის ერთადერთ ვერსიფიკაციულ საზომადაც კი დამკვიდრდა.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ეს მოვლენა არსებითად განაპირობა იმ უმძლავრესმა პოეტურმა ზეგავლენამ, რომელიც შოთა რუსთველმა მოახდინა მისი შემდგომი პერიოდის ქართულ პოეზიაზე.

რუსთველური ზეგავლენის მძლავრ გამოხატულებას წარმოადგენდა ის ფაქტიც, რომ ხსენებული პერიოდის ქართული მწერლობის ერთმნიშვნელოვნად

პრიორიტეტულ ჟანრად პოეზია იქცა. ეს ტენდენცია იმხანად იმდენადაც კი იყო მომძლავრებული, რომ პროზაული ჟანრის ტექსტთა გალექსვის პროცესიც მიმდინარეობდა აქტიურად.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან დაწყებული XVII საუკუნემდე შექმნილი მხატვრული ტექსტებიდან ჩვენამდე თითქმის არაფერია მოღწეული, რაც არსებითად განაპირობა ჩვენს ქვეყანაში იმხანად არსებულმა ურთულესმა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა ვითარებამ. ამისდა მიუხედავად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ხსენებული პერიოდის ქართული პოეტური აზროვნება მთლიანად იქნებოდა მოქცეული რუსთველის მძლავრი პოეტური ზეგავლენის ქვეშ.

ამის თქმის მყარ საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან ოთხი-ხუთი საუკუნის გასვლის შემდეგაც შექმნილ პოეტურ ნაწარმოებთა უდიდესი ნაწილიც კი ვერსიფიკაციულადაც, მხატვრულ-სახეობრივი აზროვნებითაც, ფრაზეოლოგიურადაც, სიუჟეტის შეთხზვის სტრუქტურითაც და მხატვრული აზროვნების არსებითად განმსაზღვრელი სხვა ფაქტორებითაც უპირველეს ყოვლისა სწორედ რუსთველის ორბიტაშია მოქცეული.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ აღნიშნულ გარემოებას ამ ავტორთა ცალკეული წარმომადგენლები არათუ არ მაღავენ, არამედ სიამაყითაც უსვამენ ხაზს და იმასაც აცხადებენ, რომ მათი ლექსი რუსთველის ლექსთან შედარებით აშკარად სუსტია და პოეტური ოსტატობითაც და ამბის თხრობის ხელოვნებითაც ისინი მათი წინამორბედის შემოქმედებით შესაძლებლობებს ოდნავადაც ვერ შეედრებიან.

როგორც ცნობილია, ერთადერთი ავტორი, რომელიც ამ მეტოქეობის დროს კადნიერად აცხადებდა, რომ თავისი პოეტური შესაძლებლობებით იგი რუსთველს ბევრად აღემატებოდა, მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი (1589-1663 წწ.) იყო. ეს ამბავი თეიმურაზის დროსაც და შემდგომ პერიოდშიც იმდენადაც კი იყო გახმაურებული, რომ არჩილმა (1647-1713 წწ.) ამ საკითხს ვრცელი პოემაც მიუძღვნა - „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, სადაც ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოხატა თეიმურაზის პიროვნული ამბიციები იმასთან დაკავშირებით, რომ რუსთველთან შედარებით იგი ბევრად აღმატებულ პოეტს წარმოადგენდა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს რუსთველისადმი მისი ერთ-ერთი მიმართვიდან (ქართული მწერლობა, 6, 1989: 366):

რუსთველო, სიტყვით დაგაბი და შემიპყრიხარ გაჭრამდი,
შემედარე და ვერა ჰქმენ შენ შემოწდომა ბეჭამდი,
ლომი მკვდარს ნადირს არა სჭამს დიდითგან მცირეს გოჭამდი,
აწ მკვდარს რა გიყო, თვარემ და, თუ ცოცხალ იყო, შეგჭამდი.

თეიმურაზის ამგვარი პოეტური ამბიციის საპირისპიროდ, არჩილმა არა მარტო ის დიდი უპირატესობა წარმოაჩინა საკმაოდ არგუმენტირებულად, რომელიც რუსთველს, როგორც პოეტური სიტყვის დიდოსტატს, ჰქონდა თავის მეტოქესთან შედარებით, არამედ ის უდიდესი ზეგავლენაც, რაც რუსთველმა მისი შემდგომი

ხანის მთელს ჩვენს მწერლობაზე მოახდინა. თავისი ამ პოემით არჩილმა ხაზგასმით აღიარა ის ფაქტი, რომ ქართველი პოეტის შემოქმედებითი შესაძლებლობები უპირველეს ყოვლისა იმის მიხედვით უნდა შეფასებულიყო, რამდენად ერთგული იყო იგი იმ გზისა, რომელიც რუსთველმა გაკვალა ქართულ პოეზიაში. აი, რას წერს თავად არჩილი ამის შესახებ (ქართული მწერლობა, 6, 1989: 337):

ვინ ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გარდმოზრძანდეს ასე აქეთ!

მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ!

ის ფაქტი, ამგვარი პიროვნული ამბიციის მიუხედავად, თეიმურაზის მთელი პოეტური შემოქმედება, ვერსიფიკაციულადაც და მხატვრული ინდივიდუალობის განმსაზღვრელი სხვა ნიშან-თვისებების მხრივაც, რუსთველის მძლავრ ზეგავლენას რომ განიცდიდა, თუნდაც იმითაც დასტურდება, რომ მისი უკლებლივ ყველა პოეტური ნაწარმოები, გარდა სამი ლექსისა („ანბანთ-ქება“, „შვიდთა კრებათათვის“ და „თამარის სახე დავით გარეჯას“), რუსთველური შაირითაა დაწერილი.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომდროინდელ ქართულ პოეზიაზე რუსთველის მძლავრი პოეტური ზეგავლენა თავდაპირველად მის მიმზამველთა მიერ შექმნილ იმ პოეტურ ტექსტებში გამოვლინდა, რომელთა ავტორებიც ახალი ეპიზოდების შეთხზვითა და ჩამატებებით ცდილობდნენ განევრცოთ პოემის პერსონაჟთა თავგადასავლები. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა და ჩამატებათა ამ ნიმუშების ავტორები პირველ ყოვლისა სწორედ რუსთველური ლექსიკით, პოეტურ სახეთა მიბადვითა და სტილური ინდივიდუალობის გამნსაზღვრელ სხვა ნიშან-თვისებათა გამოყენებით გამოხატავენ თავიანთ სათქმელს.

მიუხედავად იმისა, რომ მათი უდიდესი ნაწილის შემოქმედებითი პოტენცია რუსთველის პოეტურ სიმაღლეს ოდნავადაც კი ვერ შეედრება, რუსთველოლოგები იმასაც აღნიშნავენ, ზოგიერთი ფრაგმენტის მხატვრულ-საშემსრულებლო ოსტატობა საკმაოდ მაღალი რომაა და რუსთველური ოსტატობის დონესთან აშკარად მიახლოებული. მაგალითად (ქართული მწერლობა, 5, 1988: 31):

შენ გევედრები, მაღალო, მცნობელი გულისხმაოთაო,,

მომეც ძალი და შეწევნა, უფალო უფლებათაო,

ჩვენ ქება გვინდა მათ გმირთა, მათ ფერად კადრებათაო,

პირველად ტარიელისა და მერე მისთა ძმათაო.

როგორც ითქვა, რუსთველის პოემის ჟანრულ-ვერსიფიკაციული სივრციდან ქართული ლექსის თანდათანობითი გამოსვლის პროცესს ჩვენს პოეზიაში ფაქტობრივად XVIII საუკუნის დასაწყისიდან ეყრება საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული მცდელობები სულხან-საბა ორბელიანის, (1658-1725 წწ.) ვახტანგ მეექვსისა (1675-1737 წწ.) და რუსეთში მისი თანმხლები ამაღლის რამდენიმე წარმომადგენლის ლექსებშიც გვხვდება (მაგალითად, საბასთან - სპარსული ენიდან „ქილილასა და დამანას“ მისეულ თარგმანში ჩართული ლექსების სახით; ვახტანგ მეექვსესთან - ერთი ათმარცვლიანი („ვაი, სიკვდილო“) და მეორე - ვერლიბრის ელემენტებით გაჯერებული ლექსით - „ვახტანგური;“ მამუკა

გურამიშვილთან - ლექსით - „მზეთა მზე“ და ა. შ.), ამ მიმართულებით მათზე უფრო პრიორიტეტული როლის შესრულება, ჩემის აზრით, მაინც მამუკა ბარათაშვილს (დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები უცნობია) მოუხდა.

კერძოდ, ქართულ პოეზიაში ახალი ვერსიფიკაციული ფორმების შემოტანისა და დამკვიდრების სურვილს, რაც უსათუოდ უნდა მივიჩნიოთ „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სივრციდან გამოსვლის მიზანსწრაფულ მცდელობად, მამუკა არა მარტო თავისი ლექსებით შეეცადა, არამედ 1831 წელს დასრულებული ნაშრომითაც - „სწავლა ლექსის თქმისა და დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ჭაშნიკისა.“

ხსენებულ სამეცნიერო ნარკვევში მან ლიტერატურის თეორეტიკოსის პოზიციებიდან გააანალიზა ქართული პოეზიის ვერსიფიკაციული სამყარო და კონკრეტული მაგალითების მოშველიებით წარმოაჩინა მანამდელ ჩვენს მწერლობაში არსებული სალექსო საზომები. როგორც მამუკას მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევითაც დასტურდება, ქართულ პოეზიაში რუსთველური შაირისაგან განსხვავებული სალექსო საზომების უმეტესობა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნამდელ პერიოდში არსებობდა, ხოლო რუსთველის პოემის დაწერის შემდგომ ხანაში შაირი უკვე იმდენად გაბატონებულ ვერსიფიკაციულ ფორმად იქცა, რომ განსხვავებული სალექსო საზომებით დაწერილი ლექსები მამუკას დროინდელ ქართულ პოეზიაშიც კი მხოლოდ კანტი-კუნტად თუ გვხვდებოდა.

აი, როგორ შეფასებას აძლევს მამუკა სულხან-საბას მიერ ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობას: „სულხან-საბა ორბელიანმა „ქილილა და დამანა“ გალექსა, თუმცა რუსთველის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი. იმაში ბევრი ხმა მოუყვანია, ამისთვის, რომ სპარსულში მრავალი Āმა იყო და რამთონ Āმათაც, რამდონ სტრიქონად იმაში იყო, ისე თქვა“ (ბარათაშვილი, 1969: 132).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ჭაშნიკის“ დაწერის უმთავრესი მიზანი იყო, მის ავტორს პრაქტიკული დახმარება გაეწია პოეტებისათვის მათ მიერ ახალი სალექსო საზომების გამოყენების საქმეში. აი, როგორ განმარტავს თავად მამუკა მისი თეორიული ნაშრომის ამ მიზანდასახულობას: „თუ ლექსის, გინა ტაეპისა, თქმა გინდა, ამ წერილებისა რომელისაც [ხმა] გინდოდეს,... თქვი“ (ბარათაშვილი, 1969: 132).

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ამგვარი სურვილის მიუხედავად, რუსთველის მძლავრ ზეგავლენას თავი ვერც თავად მამუკამ დააღწია და მისი პოეტური ტექსტების უმეტესობაც სწორედ რუსთველური შაირითაა შექმნილი.

რუსთველის შემდგომდროინდელი ჩვენი მწერლობის ისტორიაში ამ მიმართულებით არსებითად მნიშვნელოვანი როლის შესრულება უწინარეს ყოვლისა დავით გურამიშვილს (1705-1792 წწ.) ხვდა წილად. ქრონოლოგიური თვალსაზრისით სწორედ იგი აღმოჩნდა პირველი პოეტი, რომელმაც ვერსიფიკაციულ ფორმათა მრავალფეროვნებითაც და სათქმელის მხატვრულად გამომხატველ საშუალებათა ორიგინალობითაც ქართულ პოეზიაში თვისებრივად სრულიად ახალი

მიმართულება დაამკვიდრა. ასე რომ, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ქრონოლოგიური თვალსაზრისით იგი პირველ პოეტია, რომელმაც არა მარტო ვერსიფიკაციის სფეროში დააღწია თავი რუსთველის ზეგავლენას, არამედ პოეტური ინდივიდუალობის წარმომჩენ სხვა სახეობებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ რუსთველურ შაირს, როგორც სათმელის გამოხატვის ვერსიფიკაციულ ფორმას, მის შემოქმედებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, დ. გურამიშვილის პოეზიის დიდად ფასეულ წვლილს ჩვენი მწერლობის ისტორიაში არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მან ქართული ლექსის ვერსიფიკაციული სამყარო არაერთი ახალი და მანამდე ნაკლებად გამოყენებული საზომით გაამდიდრა და გაამრევალფეროვნა.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში აღნიშნული თვალსაზრისით ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ბესიკისა (1750-1791 წწ.) და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე სხვა ქართველი პოეტების შემოქმედება. სამოღვაწეო ასპარეზზე რომანტიკოსთა გამოსვლის შემდეგ კი ქართულმა პოეზიამ კიდევ უფრო მეტი ინდივიდუალობა შეიძინა, რის შედეგადაც რუსთველისადმი მიბაძვის ადრინდელი ტრადიცია უკვე საბოლოოდ იქცა წარსულის კუთვნილებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარათაშვილი მ. თხზულებათა სრული კრებული, თბ. 1969 წ.

კეკელიძე კ. ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1987 წ.

ქართული მწერლობა, ტომი პირველი, თბ. 1987 წ.

ქართული მწერლობა, ტომი მეხუთე, თბ. 1988 წ.

ქართული მწერლობა, ტომი მეექვსე, თბ. 1989 წ.

RUSTAVELİ ÇAĞINDA GÜRCİSTAN'DA EĞİTİM SİSTEMİ DURUMU

Sulkhan KUPRASHVİLİ

Prof. Dr., Kutaisi Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi/Gürcistan, sulxani03@gmail.com

Giga KAMUSHADZE

Doç. Dr., Kutaisi Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi/Gürcistan,
giga.kamushadze@gmail.com

12. yüzyıl ve 13. yüzyılın başlangıcı Gürcü tarihinin "altın çağı"dır. Bu dönem, Shota Rustaveli dönemi olarak adlandırılır. Gürcü devleti bu dönemde zirveye ulaştı. O zamanlar dünya politik çekim merkezi, Anadolu, eski Asya ve Kafkasya'da bulunuyordu ve bu nedenle, güçlü bir devletin güçlü bir eğitime sahip olması gerekiyordu.

12. yüzyılın başında, Gürcistan'da ilk üniversite kuruldu. **Phazisi Akademisi'nin** Gürcistan'ın Karadeniz sahilinde var olduğuna dair haberler var. Antik çağların en ünlü liselerinden biriydi. Bu akademi, ünlü filozoflar olan **Demetrius ve Evgenius** tarafından eğitilmiştir. Gelati Akademisi, 1106 yılında Gürcistan'ın en güçlü kralı olan kral Davit Aghmashenebeli tarafından kuruldu. Gelati, Gürcistan'ın eski başkenti - Kutaisi, Gürcistan'ın batısında yer alır ve manastır alanında akademi kurulmuştur. Kral Davit dönemi boyunca, Gelati Akademisi iyi bilinen bir akademik ve bilimsel merkez haline geldi. Davit akademiye Gürcistan ve yurtdışında yaşayan akademisyenleri davet etti. Herkese tazminat ödedi ve iyi yaşam koşulları sağladı. Tarihçiler Gelati Akademisi'nin kurulmasının çok geniş hedeflere sahip olduğunu kabul eder.

Gelati'de büyük bir kültür-eğitim ve eğitim-bilimsel çalışma merkezi yaratılmalıydı. Davit Aghmashenebeli tarihçisine göre, Gelati Akademisi, eski zamanlarda Atina ve Kudüs olduğu gibi aynı bir işleve sahip olmalıydı. Akademinin manastırda yer almasına rağmen, Ruh ile birlikte laik felsefi düşüncenin yeri vardı. Gelati Akademisi, Gürcü kültürünün en önemli ve ilerici temsilcileriydi. 12. yüzyılda Gelati, Gürcü Rönesansının en güçlü merkezlerinden biri oldu.

Gelati Akademisi'ne Davit Aghmashenebeli, o dönemde Bizans yüksek öğrenim kurumlarında çalışan Gürcü kültürünün temsilcilerini davet etti. Gelati Akademisi'nin "Öğretmen - Üstat" unvanını elinde bulunduran rektör tarafından yönetildiğine dikkat edilmeliydi. Akademi başkanı tüm ülke için büyük bir saygı duymuştur. Akademi rektörü bakanlar toplantılarına katılırdı.

12. yüzyılda Doğu Kakheti ilinde başka bir akademi kuruldu. **Ikalto Akademisi'nin** hala 9. yüzyılda olduğuna dair haberler var. Akademi Arap istilaları sonucunda kapandı 1114 yılında Gelati Akademisi'nden ayrılan bilim adamı ve filozof olan Arsen Ikaltoeli İkalto Akademisi'ni yeniden çalıştırdı. Arsen Ikalto Akademisinin ilk rektörü oldu.

Arsen Ikaltoeli, filolojik ve felsefi bakış açısının ilginç çekimlerini çevirir. Anatomi uzmanı olarak anıldığına dikkat edilmelidir. Aynı zamanda teolojik içeriğin örtüsüne de aittir. Arsen Ikaltoeli'nin, Gelati ve Ikalto akademilerinde ders verdiği bir fizik el kitabıdır.

Arsen Ikaltoeli, Ortaçağ dönemlerine ait Gürcüce felsefi-teolojik düşüncenin önemli bir temsilcisidir. Katılımcılar, dini-dogmatik meseleleri çözmeyi amaçlayan toplantıya Davit Aghmashenebeli tarafından davet edildi. Arsen Ikaltoeli'nin pozisyonu uzlaşmaz ve sert idi. Felsefe olarak o, skolastik ve aristoly bir takipçisi oldu.

1114 yılından önce Arsen Ikaltoeli, Ioane Petritsi ile birlikte Gelati Akademisinde çalıştı. Arsenal ve Ioane birbirlerine karşıt muhalifleriydi. Yine de Gürcistan kültür ve biliminin gelişmesinde vazgeçilmez bir rol oynamışlardı. Her iki alem de Bizans İmparatorluğu'nda Mangan akademisi'nde eğitim görmüşlerdi. Gürcistan'da Akademi kuran Davit Aghmashenebeli Bizans eğitiminin alternatif siyasi ve eğitim merkezi oluşturmuş ve eğitim merkezini Bizans'tan Gürcistan'a almaya çalışmıştı.

İlginç olan, Gürcü yüksek öğrenim kurumlarında eğitim ve öğretimin metodolojisiydi.

Araştırmacılara göre, Gelati ve Ikalto akademileri esasen Hristiyan Doğu'da olduğu şekilde tanıtılacak aynı türden bir eğitim sistemi idi. Özellikle, Bizans yüksek okulu müfredatında yedi ders vardı. Gelati Akademisinde olduğu gibi Ikalto Akademisinde öğretim sistemi esas olarak trivium - quardivium (üç + dört) sistemine dayanmıştı yani ilahiyat, geometri, aritmetik, müzik, retorik, gramer, felsefe, coğrafiya, astronomi, ilahi şarkıların yanı sıra demircilik, çincilik ve tarımcılık gibi meslekler öğretiliyormuş. Yabancı dilleden çok sayıda önemli eserler övüriliyormuş, el yazma evrakları çoğaltılıp muhteşem kitaplar yazılıyormuş.

Bu yediders her yerde zorunluydu, fakat belirli bir kurumda bir okulda ek bir konu olabilirdi. Tıpta yedi farklı dersin bulunduğu Bizans Lisesi'nin planlarını biliyoruz; Bazı durumlarda (Beyrut'ta), hukuk bilimi ve diğerleri dahil edildi. lise gelince, Gürcü kaynaklarına göre Gelati Akademisi'nde her yedi ders zorunlu olarak öğretilirdi.

Gürcü alimler Gelati Akademisinin tıp ta öğretildiğine inanıyorlardı: Davit Aghmashenebeli tarihçisinin belirttiğine göre, Kral, Gelati'de külliye ve Akademi kurmaktan sonra akademi rektörüne bağlı olan hastane inşa edildiği hakkında bize yazılı bilgi vermişti

Gürcü tıbbi tarihinin araştırmacıları, Gelati'deki bir hastanenin varlığını ve akademi'deki tıbbi eğitimi de düşünmektedir.

Muhtemelen, Gelati akademisi ayrıca dünya tarihi ve özellikle geçmiş ve Kafkasya'nın tarihine dikkat etmişti.

Son olarak, çağdaş Gürcü yükseköğretim sisteminin antik Gürcü Akademilerinin mirasçısı olup Ortaçağ'da büyük geleneklerini devam ettirmeye çalışmaktadır.

საგანმანათლებლო სისტემა რუსთაველის ეპოქის საქართველოში

მე-12 საუკუნე და მე-13 საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიის “ოქროს ხანაა”. ამ პერიოდს სხვაგვარად შოთა რუსთაველის ეპოქასაც უწოდებენ. საქართველოს სახელმწიფომ ამ პერიოდში თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. იმ პერიოდის მსოფლიოს პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი ანატოლიაში, წინა აზიასა და კავკასიაში მდებარეობდა და, გამომდინარე აქედან, ძლიერი სახელმწიფოებრიობის პირობებში აუცილებელი იყო ძლიერ სახელმწიფოს ძლიერი განათლების სისტემა ჰქონოდა. სწორედ მე-12 საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი პირველ უმაღლეს სასწავლებლებს საქართველოში. არსებობს ცნობები, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის სანაპიროზე, არსებობდა ფაზისის აკადემია. ეს იყო ანტიკური პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უმაღლესი სასწავლებელი. ამ აკადემიაში განათლება მიუღიათ ცნობილ ფილოსოფოსებს - დემეტრიოსს და ევგენიოსს. გელათის აკადემია საქართველოს ყველაზე ძლიერმა მეფემ დავით აღმაშენებელმა დააარსა 1106 წელს. გელათი დასავლეთ საქართველოში საქართველოს ძველ დედაქალაქთან, ქუთაისთან, ახლოს მდებარეობს და აკადემია მონასტრის მიდამოებში იქნა დაარსებული. მეფე დავითის პერიოდშივე გელათის აკადემია ცნობილი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრი გახდა. დავითმა აკადემიაში მასწავლებლებად მოიწვია მაშინდელ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები მეცნიერები. ყველას ანაზღაურება დაუნიშნა და ცხოვრების კარგი პირობები შეუქმნა. ისტორიკოსები აღიარებენ, რომ გელათის აკადემიის დაარსებას ძალიან ფართო მიზნები ჰქონდა. გელათში უნდა შექმნილიყო კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედების დიდი ცენტრი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ გელათის აკადემიას უნდა ჰქონოდა ის ფუნქცია, რაც თავის დროზე ჰქონდა ბერძნულ ათენს და იერუსალიმს. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია მონასტრის ტერიტორიაზე

მდებარეობდა, იგი სასულიეროსთან ერთად საერო-ფილოსოფიური აზროვნების დიდი ადგილი იყო. გელათის აკადემია თავის კედლებში თავს უყრიდა ქართული კულტურის ყველაზე უფრო გამოჩენილ და პროგრესულ წარმომადგენლებს. მე-12 საუკუნეში გელათი გადაიქცა ქართული რენესანსის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად. გელათის აკადემიაში დავითმა მიიწვია ქართული კულტურის ის წარმომადგენლები, რომლებიც იმ დროს მოღვაწეობდნენ ბიზანტიის უმაღლეს სასწავლებლებში. აღსანიშნავია, რომ გელათის აკადემიას ხელმძღვანელობდა რექტორი, რომელიც „მოღვართ-მოდვარის“ ტიტულს ატარებდა. აკადემიის ხელმძღვანელს მთელს ქვეყანაში უდიდესი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული. გელათის აკადემიის რექტორი ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობის პირად ითვლებოდა საქართველოში და მაშინდელი სავაზიროს, ანუ მინისტრთა კაბინეტის სხდომებსაც კი ესწრებოდა.

მე-12 საუკუნეშივე საქართველოში მეორე აკადემიაც დაარსდა აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის პროვინციის ტერიტორიაზე. არსებობს ცნობები, რომ იყალთოს აკადემია ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეშივე არსებობდა. არაბთა ლაშქრობების შედეგად ამ აკადემიამ არსებობა შეწყვიტა და 1114 წელს გელათის აკადემიიდან წასულმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა არსენ იყალთოელმა აღადგინა.

არსენ იყალთოელი აკადემიის პირველი რექტორი იყო. მან თარგმნა და ერთ კრებულში - „დოგმატიკონ-ში“ გააერთიანა ბიზანტიის მწერალთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებები ანასტას სინელის „წინამძღვარი“, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, მისივე რამდენიმე პოლემიკური ნაშრომი თეოდორე აბუკარის პოლემიკური ეპისტოლენი, მიქაელ ფსელოსის „პირმშოსათვის“, კირილე ალექსანდრიელის, ნიკიტა სტიტატის, ლეონ პაპის დოგმატურ-პოლემიკური თხზულებანი. არსენ იყალთოელმა თარგმნა ასევე „დიდი სჯულის კანონი“, გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფი“ და სხვა.

არსენ იყალთოელი თარგმანებს ურთავდა ფილოლოგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისით საინტერესო სქოლიოებს. აღსანიშნავია, რომ მას მოიხსენიებენ ანატომიის მცოდნედ. მასვე ეკუთვნის სასულიერო შინაარსის იამბიკოები. დავით აღმაშენებლის საფლავის ეპიტაფია. არსენ იყალთოელს შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელო, რომლითაც ასწავლიდა გელათის და იყალთოს აკადემიებში.

არსენ იყალთოელი შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ კრებაში, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიურ-დოგმატიკური საკითხების გადაწყვეტას. არსენ იყალთოელის პოზიცია ერეტიკოსების მიმართ შეურიგებელი და მკაცრი იყო. იგი ფილოსოფიაში იგი სქოლასტიკის და არისტოტელეზმის მიმდევარი იყო.

1114 წლამდე არსენ იყალთოელი გელათის აკადემიაში მოღვაწეობდა იოანე პეტრიწთან ერთად. არსენი და იოანე ერთმანეთის იდეური მოწინააღმდეგეები იყვნენ. მიუხედავად ამისა, მათ შეუცვლელი როლი ითამაშეს ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. ორივე მეცნიერს მანგანის აკადემია ჰქონდათ დამთავრებული ბიზანტიის იმპერიაში. გელათის აკადემიის დაარსებით დავით აღმაშენებელი ბიზანტიური განათლების ალტერნატივას ქმნიდა საქართველოში და ცდილობდა პოლიტიკური და საგანმანათლებლო ცენტრი ბიზანტიიდან საქართველოში გადმოსულიყო.

ძალიან საინტერესოა, რა მეთოდებით მიმდინარეობდა სწავლა-განათლება ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში.

მკვლევართა აზრით, გელათისა და იყალთოს აკადემიებში ძირითადად სწავლების ისეთივე სისტემა უნდა ყოფილიყო შემოღებული, როგორც საერთოდ იმდროინდელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში. კერძოდ, ბიზანტიაში უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმაში შვიდი დისციპლინა იყო საყოველთაოდ სავალდებულო. ეს სამეცნიერო დისციპლინები გახლავთ ე.წ. trivium – quardivium-ის (სამი + ოთხი) ციკლი გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. ამ შვიდი დისციპლინის სწავლება სავალდებულო იყო ყველგან, მაგრამ ამა თუ იმ სასწავლებელში, ადგილობრივი საჭიროებისა და მიხედვით, შეიძლებოდა დამატებითი საგანი ყოფილიყო გეგმაში შეტანილი. ჩვენ ვიცნობთ ბიზანტიის უმაღლესი სკოლების ისეთ გეგმას, სადაც იმ შვიდი დისციპლინის გარდა, იყო მედიცინა; ზოგან შეტანილი იყო (მაგალითად ბეირუთში) სამართლის მეცნიერება, სხვაგან კდიევ სხვა. რაც შეეხება საქართველოს უმაღლეს სკოლებს, ქართულ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე მკვლევარნი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ აქ, კერძოდ გელათში, სავალდებულო უნდა ყოფილიყო ზემოთხსენებული შვიდი დისციპლინა. ასეთი ვარაუდის გამოთქმისას მკვლევართ მხედველობაში აქვთ იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური ნაწარმოები „განმარტება პროკლე დიადოხოსის და პლატონური ფილოსოფიისათვის“, რომლის ბოლოსიტყვაობაშიც იგი დაწვრილებით მსჯელობს ზემოაღნიშნულ შვიდ სამეცნიერო დისციპლინაზე, თუ რომელი მათგანი რისთვის არის საჭირო, რომელი მათგანი რა დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ქმნის.

იოანე პეტრიწი ჯერ trivium-ში შემავალ დისციპლინებზე - გეომეტრიაზე (ქვეყნის სამზომლო), არითმეტიკაზე (რიცხუნი) და მუსიკაზე (სამუსო) მსჯელობს, რომლებიც საღვთისმეტყველო განათლების პირველ ციკლად აქვს წარმოდგენილი. ცოტა უფრო ქვემოთ იოანე პეტრიწი მეორე ციკლის (quadrivium) თითოეული სამეცნიერო დისციპლინის (დრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთ-მრიცხვეულობა) განმარტებას იძლევა.

ქართველი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გელათის აკადემიაში ისწავლებოდა მედიცინაც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს გელათში მონასტრისა და აკადემიის დაარსების შემდეგ, უშუალოდ მოთხრობილი აქვს დავითის მიერ საავადმყოფოს აშენების შესახებ.

ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევარებს მიაჩნიათ გელათში საავადმყოფოს არსებობა და აკადემიაში მედიცინის სწავლებაც. მისი აზრით, "გელათის საექიმო საქმიანობასთან და უმაღლესი სამედიცინო განათლების არსებობასთან უნდა იყოს დაკავშირებული არსენ იყალთოელის მიერ იოანე დამასკელის "გარდამოცემის" მეორედ თარგმნა ქართულ ენაზე და იოანე პეტრიწის მიერ ნემესიოს ემესელის "ზუნებისათვის კაცისას" გადმოღება ბერძნულიდან.

ორივე ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე გელათში მათი მოღვაწეობის პერიოდს ეკუთვნის". გელათის აკადემიაში ისწავლებოდა მედიცინა და "ზუნებისათვის კაცისას" სახელმძღვანელოდ იყო განკუთვნილი.

ვარაუდობენ აგრეთვე, რომ გელათის აკადემია ამზადებდა მხატვრებს, ფერწერის ოსტატებს, რომ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ოქროქედური ხელოვნების წინსვლის საქმეშიც. სავარაუდოდ, გელათის აკადემიაში ყურადღება ექცეოდა აგრეთვე საერთოდ მსოფლიო ისტორიისა და განსაკუთრებით საქართველოსა და კავკასიის წარსულის შესწავლას. როგორც აღნიშნავენ მანგანის

აკადემიაშიც ისწავლებოდა ისტორია (როგორც საერთო, ისე რელიგიის) და ლიტერატურა (საბერძნეთის, რომის).

საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად გელათის აკადემია პარალელურად ასრულებდა საქართველოს სამეფო საგანძურისა და ხანდახან ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი რეზიდენციის ფუნქციას.

აღსანიშნავია, რომ ორივე უმაღლესი სასწავლებელი უშუალოდ საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა და გელათის აკადემიის რექტორი მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის წევრად ითვლებოდა, რაც მოწმობს შუა საუკუნეების საქართველოში განათლების სისტემის საკმაოდ მაღალ დონეს.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართული უმაღლესი განათლების სისტემა უძველესი ქართული აკადემიების მემკვიდრედ გვევლინება და ცდილობს განაგრძოს შუა საუკუნეებში ჩასახული დიდი ტრადიციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

6. საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2007 წელი;
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III, საბჭოთა საქართველო, თბილისი 1979 წელი;
8. ვ. სილოგავა, კ. შენგელია, საქართველოს ისტორია, სალექციო კურსი, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2006 წელი;
9. გ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი, ქართული კულტურის ისტორია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1997 წელი;
10. კულტუროლოგია, გამომცემლობა სამართლიანი საქართველო, თბილისი 2009 წელი;
- ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1948 წელი.

TÜRKİYE’DE GÜRCÜ DİLİ VE EDEBİYATI BÖLÜMÜ OLAN ÜNİVERSİTELER VE GÜRCÜ DİLİ ÖĞRETİMİ

THE UNIVERSITIES WITH DEPARTMENTS OF GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE AND TEACHING GEORGIAN LANGUAGE

Doç. Dr. Nanuli KAÇARAVA

Tiflis Devlet Üniversitesi, nanulikacharava@gmail.com

Özet

1. Son 10 yıl içerisinde Türkiye’yi yöneten Hükümet sayesinde çeşitli ve genellikle bölgesel üniversitelerin ilgili fakültelerinde Kürt, Çerkez, Gürcü Dilleri ve Edebiyatları Anabilim dalları açılmıştır; Orta Okul ve İmam Hatip Orta Okullarında ise Kürtçe, Çerkezce, Lazca ve Gürcüce seçmeli ders olarak kabul edilmiştir. 13 yıl oldu Türkiye’nin Kars Kafkas üniversitesinde Gürcü dili ve edebiyatı Anabilim Dalı açılalı. Sonra onlar çoğaldı. Kendi bünyelerinde Gürcü dili ve edebiyatı Anabilim Dalları var olan üniversiteler şunlardır: Kars Kafkas Üniversitesi, Ardahan Üniversitesi, Recep Tayyip Erdoğan Rize Üniversitesi, Düzce Üniversitesi. Artvin Üniversitesi de Kafkas Dilleri Bölümünü açmak niyetindedir.
2. 2005 yılında Türkiye çapında ilk defa (!) Kars Kafkas Üniversitesinde Gürcü dili ve edebiyatı Anabilim Dalı açılma sevincini yaşadık. Bu tür bölümlerin açılması uzun ve çok taraflı süreçten geçti.
3. Düzce Üniversitesi tarafından Türkiye’de ilk olarak gerçekleştirilmiş faaliyetler listesinde Çerkez Dili ve Edebiyatı Bölümünün açılması da yer almaktadır. Fen Edebiyat Fakültesi Kafkas Dilleri ve Kültürleri Bölümü Çerkez Dili ve Edebiyatı Anabilim dalı Maykop Adıge Devlet Üniversitesi’nin ve Düzce Kuzey Kafkas Kültür Derneği’nin destekleriyle ve işbirliğiyle Temmuz 2013’de açılmıştır.
4. Bildirimde Türkiye’deki Kartveloloji merkezleri hakkında detaylı bir bilgi verilecektir.
5. Türkiye üniversitelerinde ilk aşamada Gürcü Dilinin Gürcü Türkologları ve uzmanları tarafından öğretilmesi kanaatindeyim. Gerekli seviyede bu işi yapabilen Türk uzmanlarını yetiştirene dek burada Gürcü uzmanlarına ihtiyaç her zaman olacaktır. Gürcüce öğretirken hoca ve öğrenci arasında mutlaka ortak dilin olmasının düşüncesindeyim. Bu eğitim ve öğretim sürecini bir hayli kolaylaştırıp, yabancı dilin daha çabuk öğrenilmesini sağlayacaktır.

Anahtar Kelimeleri: Gürcü Dili ve Edebiyatı, Düzce Üniversitesi

Giriş

Avrupa Birliğine girmek için hazırlanan, halbuki onun eşliğinde bulunan Türkiye, Avrupa Birliğinin istekleri ve standartları göz önüne almaktadır. Son 15 yıl içerisinde Türkiye’yi yöneten Hükümetin yürüttüğü politika sayesinde Türkiye’de olan dillere ve lehçelere özel bir özen gösterilmektedir. Bu politikanın sonucunda bölgesel üniversitelerin ilgili fakültelerinde Kürt,

Çerkes, Gürcü Dilleri ve Edebiyatları Anabilim dalları açılmıştır. Türkiye’de Bilkent Üniversitesinde çalıştığımda katıldığım sempozyumlar ve kongrelerde bildirimleri hep şöyle bitiriyordum: “Biz Türkiye’nin Kuzey-doğu tarafından kapı komşu olan bağımsız Gürcistan Cumhuriyetiyiz. Türkiye bizim bağımsızlığımızı tanıyan ilk ülkelerdendir. Eğer Gürcistanda 1944 yılından bu yana çok güçlü Türkoloji varlığını sürdürüp son zamanlarda ise hızlı tempoyla Türkçe okutuluyorsa Türkiye’nin üniversitelerinde Gürcü dili Bölümü, merkezi yahut küçük bir kürsü neden bulunmasın, neden açılmasın ki?” Doğrusunu söylemem gerekiyorsa, bu benim isteğim Türk bilim adamları tarafından da tasdik ediliyordu. Gerek o zamanki Türk Dil Kurumu başkan yardımcısı Prof. Dr.Hamza Zulfikar gerekse sonraki dönemde TDK başkanı olan Prof. Dr.Haluk Şükrü Akalın, bu teklifin gündeme getirilmesini sık sık hatırlatıyorlardı bana. Türkiye’de Gürcistan Büyükelçiliği’nin açılışından bu zamana bu teklif hep gündemdeydi. Nitekim zamanla bürokrasi basamaklarını aşarak YÖK’ten izin çıkmış ve fiilen uygulamaya geçilmiştir. 2005 yılında Türkiye’de ilk defa (!) bölgesel bir üniversite olarak Kars Kafkas Üniversitesi’nde, Gürcü Dili ve Edebiyatı Anabilim Dalı’nın açılması kabul edilmiştir; 2006 yılından bu yana bölüme öğrenci kabul edilmektedir. Türkiye-Gürcistan arasındaki eğitim ve kültür alanında yapılmış anlaşmaların neticesinde ortaya çıkan bu sevindirici olayı iki ülkenin diplomatları, bilim adamları, Gürcü Türkologları ve öğretim elemanlarının büyük bir zaferi olarak nitelendirebiliriz. Ama altını çizerek belirtmek gerekir ki, eğer Türkiye Hükümetinin yerli dillere ve lehçelere karşı yeni politikası olmazsaydı, bu teklif yine bürokrasinin belli aşamada kalmış olacaktı.

Türkiye’de Gürcü dili ve Edebiyatı Bölümü olan Üniversiteler

Kars’tan sonra Ardahan Üniversitesi, Rize Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi ve son olarak da Düzce Üniversitesi bünyesinde Kafkas Dilleri ve Kültürleri Bölümü’nde Gürcü Dili ve Edebiyatı Anabilim Dalı açılmıştır. Bildiğim kadariyle Sakarya ve Artvin Üniversitelerinin de bünyesinde Gürcü Dili ve Edebiyatı bölümlerinin açma mümküniyeti de vardır. Etnik Gürcülerin yoğun olarak yaşadığı bölgelerde bu tür eğitimin son derece doğru olduğunu; bizler, öğretim elemanları için de yerel lehçe ve ağızların araştırılmasının oldukça ilginç ve yararlı olacağını düşünmekteyiz. Makalede detaylı biçimde söz edilen üniversitelerin Gürcü Dili ve Edebiyat hocaları hakkında bilgi verilmektedir. Onlar teker teker kimlerdir, hangi üniversitelerden mezun oldular, doktoralarını hangi üniversitelerde vermişler gibi konularda teferruatlı bir şekilde konuşulmaktadır.

Bunun dışında Türkiye çapında Boğaziçi Üniversitesinde de seçmeli ders olarak Gürcüce dersleri verilmektedir. Genel olarak Marmara Denizi havuzundaki yer alan illeri muhacirler bölgesi olarak tanınmaktadır. Farklı etnik kültürleri içinde barındıran Düzce’de; Kafkasya’dan, Anadolu’dan, Karadeniz’den, Balkanlar’dan savaşlar nedeniyle buraya göçmüş atalarının kültür değerlerini bilenler oturmaktadır. 2006 yılında kurulmuş Düzce Üniversitesi, yeni ve genç üniversitesi olmasına rağmen önemli projeleri, ödülleri, keşif ve buluşları, uluslararasılaşma adımları ve başarılarıyla yerelden evrensele değer üreten üniversitelerden sayılmaktadır. Düzce Üniversitesi tarafından Türkiye’de ilk olarak gerçekleştirilmiş faaliyetler listesinde Çerkes Dili ve Edebiyatı Bölümünün açılması da yer almaktadır. Fen Edebiyat Fakültesi Kafkas Dilleri ve

Kültürleri Bölümü Çerkes Dili ve Edebiyatı Anabilim dalı Maykop Adıge Devlet Üniversitesi'nin ve Düzce Kuzey Kafkas Kültür Derneği'nin destekleriyle ve işbirliğiyle Temmuz 2013'de açılmıştır. Bu sene Kayseri Erciyes Üniversitesinde Türkiye çapında ilk olarak Kabardey dili ve Edebiyatı Bölümü de açılmıştır.

Düzce Üniversitesi Gürcü Dili ve Edebiyatı Anabilim dalında diğer 3 üniversiteden farklı olarak eğitimin yüksek lisans programı da vardır. Çerkes Dili ve Edebiyatı Anabilim dalında ise hem yüksek lisans hem de doktora programları vardır.

Kars Üniversitesinde Gürcüce Bölümün açılmasından yaklaşık 9 sene sonra 17.09.2014 tarihli yüneregeye göre Türkiye Milli Eğitim Bakanlığınca Orta Okul ve İmam Hatip Orta Okullarında Gürcücenin seçmeli ders olarak verilmesi kabul edilmiştir. Böyle karar verene dek uzun ve yorucu süreçten geçtik. Programların çevirisinde bendeniz de katılmışım. Bu karardan önce Kürtçe, Çerkesce, Lazca ve Abhazca seçmeli ders olarak kabul edilmiştir. 10-12 velinin istek üzerine Gürcüce seçmeli ders olarak okutulabilmektedir. İlk Gürcüce sınıf da 2014'te Milli eğitim bakanlığı Sakarya Geyve İlçesine bağlı Nuruosmaniye Köyü ortaokulunda açıldı. Milli Eğitim Bakanlığınca Gürcüce öğretim programının Eylül'de tasdik edilmesine rağmen Ekim'in sonunda ilk Gürcüce seçmeli dersin başlanması bir hayli sevinç meydana getirdi. Marmara Gürcüleri Plarformu üyesi Mustafa Kolat (Kolotaşvili), Nuruosmaniye köyünde velilerle yaptığı görüşmeler sonucunda otuz velinin seçmeli ders olarak Gürcüce tercih ettiğini ve bu isteğin yerine getirilmesi için okul idaresi ve İlçe Milli Eğitim Müdürlüğü ile yaptıkları görüşmelerin olumlu sonuçlandığını belirtti. Nuruosmaniye Köyünde üç sınıf açıldı ve haftada ikişer saat ders verildi. Dersler, Milli Eğitim Müdürlüğünce görevlendirilen Mustafa Kolat tarafından başarıyla yürütüldü. Bunun dışında Artvin Murgul kasabasında 4 senedir Gürcüce dersleri kesilmeden verilmektedir. Bu yıl 23 öğrenci müracaat etmiştir. 5. ve 6. sınıflar için Gürcücenin Ders Kitapları Gürcistan Milli Eğitim Bakanlığınca hazırlanıp Türkiye Milli Eğitim Bakanlığı tarafından onaylanması beklenilmektedir.

2014 yılından bu yana Düzce Gürcü Kültür Derneğinde Gürcü hocaları tarafından Gürcüce kursları verilmektedir. 2014/2015 Eğitim yılı içerisinde Sakarya Adapazarı şehrinde belediye kursları yürüttük. Bu sene Düzce Aydınpınar köyünde Halk Eğitimle bağlı hem Çerkezce hem Gürcüce kursları açılmıştır. Gürcüce kurs veren bendeniz.

2018 Şubat ayında Türkiye'de Gürcistan Büyükelçiliği aracılığıyla Gürcü dili ve Edebiyatı Bölümü olan Üniversitelerin rektörleri İvane Cavahişvili Tiflis Devlet Üniversitesi 100. Yıldönümü kutlamalarına davet edilmiştir. 50 ülkeden davet edildiği rektörlerin katıldığı Törene Türkiyeden ancak Düzce ve Rize Üniversiteleri rektörleri gelebildiler. Düzce ve Tiflis rektörleri iki taraflı işbirliği konusunda sözleşme imzaladılar.

Gürcü Dili Öğretimi

Türkiye üniversitelerindeki Gürcü dili ve Edebiyatı Bölümlerinde en azından ilk aşamada Gürcü Dilinin Gürcü Türkologları ve uzmanları tarafından öğretilmesi kanaatındayım. Gerekli seviyede bu işi yapabilen Türk uzmanlarını yetiştirene dek burada Gürcü uzmanlarına ihtiyaç her zaman olacaktır. Gürcüce öğretirken hoca ve öğrenci arasında mutlaka ortak dilin olmasının düşüncesindeyim. Bu eğitim ve öğretim sürecini bir hayli kolaylaştırıp, yabancı dilin daha çabuk öğrenilmesini sağlayacaktır. Bildirimin başında Gürcistan'daki güçlü Türkoloji ekollerden bahsederken işte şunu kastetmek istedim. Sovyet zamanında tahsili görmüş Gürcü Türkologlarının diplomalarına göre aşağıda yazılı üç ihtisası vardır: İlk önce Gürcü dili ve Edebiyatı öğretmeni, sonra Türk dili öğretmeni ve son olarak tercüman. Gürcistan'da bu tür uzmanlardan onlarca bulunmaktadır. Durum böyle ise neden onları Türkiye'de kullanmamaktayız? Neden öğrencilere sadece Gürcüce bilen ya da İngilizce aracılığıyla ders veren hocaları göndermekteyiz? Neden öğrencilere fazla zorlukları çıkarmaktayız? Hele ilk aşamalarda Türkiye'de yabancı dil veren hocaların başlama seviyesinde bile olsa da Türkçenin bilinmesi şart olmalıdır, aksi takdirde gerekli makamlarca onlar kabul edilmemelidir.

Gürcü Dili ve Edebiyatı Anabilim Dalı'nda görev yapan bir öğretim üyesi olarak bence eğitim muhakkak Türkçe ve Gürcüce verilmelidir. Tiflis Devlet Üniversitesinde Doğu Bilimleri Bölümünde (Arapça, Farsça, Türkçe, Ermenice, Çince, Japonca) ve Batı Diller Bölümünde (İngilizce, Fransızca, Almanca, İtalyanca, İspanyolca) eğitim Gürcüce ve söz edilen dillerde verilmektedir. Bu Bölümlerde her zaman – Sovyet zamanında bile - birer yabancı hoca bulunmaktaydı. Bu hocalar özellikle telaffuz, konuşma ve dinleme dersleri vermekteydi. Ben Türkoloji Bölümünde okuduğumda Gülizar Hanım adlı bir Türk hocamız vardı. Gürcücesi zayıftı. Ama diğer dersler Gürcüce ve Türkçe bilen yerli hocalar vermekteydi. Şimdi de öyledir. Yunus Emre Türk Dili merkezinden görevlendirilmiş Türk hoca her zaman telaffuz, konuşma ve dinleme dersleri vermektedir. Orada Kültür, Tarih, Edebiyat, Gramer (Morfoloji, Sentaks) dersleri muhakkak Gürcücenin ağırlığıyla verilmektedir. Türkçe kursları veren Yunus Emre Türk Dili merkezi hep Türkiye'den Türk hocalarını getirirken derslerin anlaşılıp anlaşılmamaları hususunda problemleri yaşadı. Bu problemleri gidermek için hemen bizim Türkoloji bölümünden mezun olanları işe alıp şimdi Türk hocaların yanı sıra yerli yanı hem Türkçe hem Gürcüce bilen hocalar da Türkçe dersleri vermekteler. Uzun sözün kısası, sadece Türkçe bilen hocalarla Türkçenin yeterli seviyede veremediğini hemen anladılar ve müdahale ettiler. Şunu da unutmamalıyız ki, onlar sadece bir Kurs 'tur, hâlbuki biz Gürcü dili ve Edebiyatı uzmanları hazırlayıp diplomaları vermekteyiz. Kısaca, eğitim verirken hem Gürcü diline hem Türk diline hakim olmalıyız. Tek Gürcücenin bilinmesi yeterli olmuyor. Evet, öğrenci düzenli çalışmayabilir, devamsızlık da yapabilir fakat öğrenci psikolojisidir bu. Dersleri veren hocalarımızın Türkçeye hâkim olamadıklarından dolayı öğrencilerin dersler anlaşılamıyor yahut falan hocanın dersinin %50-sini anlamıyoruz da o yüzden gelmek de istemiyoruz şeklinde ifadelere şahit olmaktadır. Böyle bahane, böyle sebep onlara asla vermemeliyiz. Aksine Gürcü Dili, Gürcüleri ve Gürcistan'ı sevdirecek öğretmeliyiz.

Yukarıda söz edilen orta okullarda Gürcücenin seçmeli ders olarak okutulması için öğretmenleri biz hazırlamalıyız. Artık birkaç yıldır Kars Kafkas Üniversitesi Gürcü Dili ve Edebiyatı Ana Bilim Dalı'ndan mezun olan öğrenciler, Gürcistan'ın çeşitli üniversitelerinde Yüksek Lisans ve Doktora programlarından başarılı bir şekilde mezun olmaktadır. Belli nesilleri yetiştirdikten sonra bu güzel bilim dallarını işte bu tür eğitim alan uzmanlara devredeceğiz.

Gürcistan üniversitelerinin bünyelerindeki Türkoloji Bölümleri, Gürcü Dili, Gürcü Edebiyatı bölümleriyle beraber Türkiye'deki çeşitli üniversitelerde oluşan Gürcü Dili ve Edebiyatı Anabilim dallarıyla gelecekte sıkı bir temaslarda bulunmalıdır.

ქართული ენის სწავლება და ქართველოლოგიური კერები თურქეთში

თურქეთი, რომელიც ევროკავშირში შესასვლელად ემზადება და შეიძლება ითქვას უკვე მის ზღურბლზეც კი დგას, ითვალისწინებს ევროკავშირის მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ქვეყნის მმართველი მთავრობის პოლიტიკური კურსის მიხედვით ყურადღება მიექცა თურქეთში არსებულ ენებსა და დიალექტებს, რის შედეგადაც რეგიონალურ უნივერსიტეტებში დაშვებული იქნა ქურთული, ჩერქეზული და ქართული ენებისა და ლიტერატურის განყოფილებები. თურქეთში ბილქენტის უნივერსიტეტში მუშაობის ათი წლის განმავლობაში კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე ჩემს გამოსვლებს ყოველთვის ამ წინადადებით ვასრულებდი: „ჩვენ უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა - საქართველო ვართ, რომელიც თურქეთის კარის მეზობელია ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან. ჩვენი დამოუკიდებლობა სხვა ქვეყნებთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა თურქეთმა ცნო. თუ საქართველოში 1944 წლიდან დღემდე არსებობს ძლიერი თურქოლოგიური სკოლა, ხოლო ბოლო პერიოდში სწრაფი ტემპით გაძლიერებულად ისწავლება თურქული ენა, თურქეთის უნივერსიტეტებში რატომ არ უნდა არსებობდეს ქართველოლოგიის განყოფილება, ცენტრი, ან თუნდაც პატარა კათედრა?!” სიმართლე უნდა ითქვას, ჩემი ეს მოთხოვნა ხშირად პროვოცირებული იყო თვით თურქი მეცნიერების მიერ, როგორებიც არიან “თურქული ლინგვისტური საზოგადოების” მაშინდელი თავმჯდომარის მოადგილე პროფ. ჰამზა ზულფიქარი და შემდგომში თავმჯდომარე პროფ. ჰალუქ შუქრი აკალინი. ისინი ხშირად თვითონ მახსენებდნენ, რომ არ გამომჩენოდა ეს მოთხოვნა. დღიდან საქართველოს საელჩოს გახსნისა თურქეთში, დაწყებული პირველი ელჩით აწ განსვენებული ბატონი ნოდარ კომახიძით და მოყოლებული დანარჩენი ელჩებით, ეს მოთხოვნა ყოველთვის იდგა დღის წესრიგში. და აი, მრავალწლიანმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, ნაბიჯ-ნაბიჯ გადაილახა ბიუროკრატიული აპარატის ყველა საფეხური და პირველად თურქეთ-საქართველოს ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო ფაქტი: 2005 წელს ყარსის უნივერსიტეტში გაიხსნა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება, ხოლო 2006 სასწავლო წლიდან მან სტუდენტებიც მიიღო. ეს იყო ქართველი და თურქი დიპლომატების, მეცნიერების, ქართველი თურქოლოგების და განათლების მუშაკების უდაოდ დიდი წარმატება. ცოდვა გამხელილი ჯობია და ეს ჩვენი

მოთხოვნა კიდევ არა ერთი ათეული წელი ივლიდა ბიუროკრატიული აპარატის სხვადასხვა საფეხურიდან საფეხურზე, რომ არა, და ამას ხაზგასმით ვამბობ, დღევანდელი თურქეთის მთავრობის რადიკალურად შეცვლილი პოლიტიკური კურსი თურქეთში არსებული ადგილობრივი ენებისა და დიალექტების მიმართ.

გავიდა სულ რაღაც ათი წელი და თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს 2014 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით, თურქეთის საშუალო და სასულიერო სკოლებში არჩევით საგნად დაშვებულ იქნა ქართული ენის სწავლება. მშობელთა სურვილის შემთხვევაში (სულ ცოტა 10-12 მშობელი), შვილებმა არჩევით საგნად შეუძლიათ ისწავლონ ქართული. გარდა ქართული ენისა, მანამდე დაშვებულ იქნა სკოლებში ქურთულის, ჩერქეზულის, ლაზურისა და აფხაზური ენების სწავლება არჩევით საგნად. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მეტად ხანგრძლივი და დამღლევი პროცესი. თავდაპირველად ქართველი სპეციალისტების მიერ მომზადებულმა პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია. ამიტომ დიასპორის სამინისტროს დაკვეთით კოლეგა თამარ ალფენიძესთან ერთად თურქულიდან ქართულად ვთარგმნეთ პროგრამები ჩერქეზული და აფხაზური ენებისათვის, რათა ჩვენს სპეციალისტებს საშუალება ჰქონოდათ შედარებისა. ქევსერ რუჰისა (ქეთევან ხანთაძე) და ელდარ ქუჩუქის (ელიზბარ ცივნარიძის) მიერ შემდგომ ეტაპზე ქართული ენისათვის მომზადებული პროგრამა დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ჯერჯერობით მთელი თურქეთის მასშტაბით ორ რაიონში ჰქონდა დადებითი გამოცხადი ამ წამოწყებას. მარმარილოს აუზის საქარიის პროვინციის სოფ. ნუროსმანიეში და ართვინის ვილაეთის დაბა მურღულში სკოლებში წარმატებით ისწავლება ქართული. მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველების პლატფორმის წევრის მუსტაფა კოლატის (კოლოტაშვილის) განცხადებით, სოფელ ნუროსმანიეში მშობლებთან შეხვედრის შედეგად ოცდაათმა მშობელმა განცხადება შეიტანა სკოლაში, აირჩია ქართული ენა. მუსტაფა კოლატის (კოლოტაშვილის) სკოლის დირექტორთან და რაიონის განათლების განყოფილების გამგესთან შეხვედრებმა ასეთი სასიხარულო შედეგი მოგვცა. ართვინის პროვინციის დაბა მურღულის საშუალო სკოლაში 4 წელია შეუწყვეტილად ისწავლება ქართული ენა. ამ სასწავლო წელს ისინი 23 მოსწავლით შეხვდნენ. გარდა ამისა დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციაში 2014 წლიდან მოქმედებს ქართული ენის კურსი, სადაც ქართულს დუზჯეს უნივერსიტეტის ქართველი მასწავლებლები ასწავლიან. 2014-2015 სასწ. წელს ქართული ენის კურსი ფუნქციონირებდა საქარიის პროვინციის ცენტრში, ადაფაზარში. წელს დუზჯეს პროვინციის სოფ. აიდინფინარში ადგილობრივი მოსახლეობის თაოსნობით ერთდოულად გაიხსნა ჩერქეზული და ქართული ენის კურსები. ქართული ენის კურსებზე ირიცხება 35 ყმაწვილი, წარმოშობით ქართველები. ეს ის ახალგაზრდები არიან, ვინც წელს ზაფხულში ანაკლიის ბანაკში დაისვენეს და იქიდან საქართველოზე უზომოდ შეყვარებულები დაბრუნდნენ. ახლა მათ სურვილი აქვთ ისწავლონ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა. მასწავლებელი:

თქვენი მონა-მორჩილი. სტამბოლის ბოსფორის უნივერსიტეტიდანაც მოვიდა სასიხარულო ცნობა. იქაც გრძელდება ქართულის სწავლება არჩევით საგნად, მასწავლებელი ქ-ნი მანანა გურგენიძე.

ქართულმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ თურქეთის ოთხ, ყარსის, არდაჰანის, რიზესა და დუზჯეს უნივერსიტეტებში გახსნილია ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებები. ართვინის უნივერსიტეტის წესდებაში დევს კავკასიოლოგიის განყოფილების გახსნა, მაგრამ ჯერჯერობით ამ მიმართულებას ფუნქციონირება არ დაუწყია.

ყარსის კავკასიის სახელობის უნივერსიტეტმა, როგორც რეგიონალურმა უნივერსიტეტმა, იტვირთა „პირველი მერცხლის“ ფუნქცია, პირველმა გახსნა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. უკვე 13 წელია, რაც იგი ფუნქციონებს და ამჟამად ოთხივე კურსზე მათ ჰყავთ 50-მდე სტუდენტი. განყოფილება წარმოდგენილია სამი პედაგოგით: მესხეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მაია მესხიძე, რომელმაც მაგისტრის ხარისხი ანკარის უნივერსიტეტში მოიპოვა, ხოლო ამჟამად უკვე დაცვის სტადიაშია მისი სადოქტორო თემა ერზურუმის უნივერსიტეტში. ქალბატონი მაია არაჩვეულებრივად ფლობს თურქულ ენას, რაც ასე საჭიროა სწავლების პროცესში. მეორე მასწავლებელია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ ხვედელიანი, რომელიც მანამდე შოთა რუსთაველის სახ. თბილისის ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა; მესამე მასწავლებელი, რაც ეგზომ მისასაღმებელია, ყარსის კავკასიის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების კურსდამთავრებული სუდან ალთუნია. მან მაგისტრის ხარისხი მოიპოვა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ახლა შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტია.

2016 წელს მაისის თვეში ყარსის უნივერსიტეტში აღინიშნა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების დაარსების 10 წლისთავი; ჩატარდა პოეზიის სადამო მიძღვნილი 10 წლის იუბილესადმი, გაჭრეს უზარმაზარი ტორტი წარწერით: „ჩვენ უკვე 10 წლისანი ვართ.“ მათ ამ ხნის განმავლობაში აღზარდეს 9 თაობა, უკვე 9 გამოშვება ჰქონდათ. პირველად ყარსის უნივერსიტეტში დაინერგა 5 წლიანი სწავლება. სტუდენტები ჯერ გადიოდნენ მოსამზადებელ კურსს, რის შემდეგაც ტარდებოდა გამოცდა და ვინც გადალახავდა საჭირო ბარიერს ხდებოდა სტუდენტი და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა ბაკალავრიატის 4 წლიან განათლებას. ამჟამად ეს წესი გაუქმებულია, ყარსის უნივერსიტეტში, ისევე როგორც თურქეთის სხვა რეგიონის უნივერსიტეტებში, ამოქმედებულია ბაკალავრიატის 4 წლიანი განათლება ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ყარსის მეზობელი ვილაეთია არდაჰანი, ისტორიული არტაანი. აქაური ახალგაზრდა უნივერსიტეტი 2008 წლიდან არსებობს და სტუდენტების მიღებამდე

უკვე ჰქონდა საუნივერსიტეტო წესდებაში შეტანილი ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების გახსნა. პედაგოგები გახლავთ: მესხეთის უნივერსიტეტის პროფესორი როინ ყავრელაშვილი; პროფესორი შურედინ მემედლი და დოცენტი გულნარა გოჯაევა-მემედოვა. ეს ორი უკანასკნელი თბილისის სულხან-საბას სახ. უნივერსიტეტის აზერბაიჯანული ენის კათედრის ყოფილი მასწავლებლები არიან. არტანში ოთხივე კურსზე სულ 20 სტუდენტი ჰყავთ და ოფიციალურად მათ ჰქვიათ არდაჰანის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

მეზობელ რიზეს პროვინციაში გახსნილია რეჯებ ტაიფ ერდოღანის სახ. რიზეს უნივერსიტეტი, სადაც 2011 წლიდან არსებობს ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა. პირველი პედაგოგი, რომელიც აქ დაინიშნა გახლავთ პრივატ-დოცენტი ჰარუნ ჩიმქე. მისი ძალისხმევით 2015 წლის იანვარში საქართველოდან მოწვეულ იქნა ორი სპეციალისტი: ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი რუსუდან სალინაძე, რომელიც ჰარუნ ჩიმქეს აღმზრდელი მასწავლებელია, ჩამოვიდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (ქუთაისი); ხოლო ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი მაია კიკვიძე რიზეს ეწვია შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. მათ მიერ, ჰარუნ ჩიმქესთან ერთად, მომზადდა ოთხწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 2016 წელს რიზემ პირველად იზეიმა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე სტუდენტთა მიღების სიხარული. ახლა მათ უკვე სამი კურსი ჰყავთ. სტუდენტები არიან თურქეთის სხვადასხვა კუთხეებიდან: რიზე, სტამბოლი, ტრაპიზონი, კონია, ერზურუმი და სხვ. წელს ქალბატონები რუსუდანი და მაია დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ უნივერსიტეტებს საქართველოში, რადგან მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც წარმატებულად გაიარეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ისინი კვლავ დაუბრუნდებიან რიზეს ქართველოლოგიის ცენტრს. ამასობაში აქ პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე მიიღეს და განყოფილების უფროსადაც დანიშნეს ყარსის კავკასიის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების კურსდამთავრებული გულ მუქერემ სეზგინ-ოზთურქი. მან მაგისტრის ხარისხი მოიპოვა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო სადოქტორო ქართულ ლიტერატურაში დაიცვა შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პედაგოგთა რიგებს შეემატა აგრეთვე გორის სასწავლო უნივერსიტეტიდან ჩამოსული ნათია მახაჭაშვილი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თვით თურქეთის პრეზიდენტის სურვილი გახლდათ მისი სახელობის უნივერსიტეტში გახსნილიყო ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

დაბოლოს, მეოთხე გახლავთ დუზჯე, რომელიც თურქეთის ყველაზე ახალგაზრდა 81-ე ვილაიეთია. იგი 1999 წლის აგვისტო-ნოემბრის ძლიერი მიწისძვრის შემდეგ გამოეყო ბოლუს პროვინციას. დუზჯე არის ჩრდილოეთ

კავკასიიდან გადასახლებული ჩერქეზების, ნებით თუ უნებლიეთ ემიგრირებული მუჰაჯირი ქართველების, აფხაზების, ოსების ლოკალურად დასახლების რეგიონი. გაგიკვირდებათ, მაგრამ დღევანდელ დუზჯეში დაახლოებით 24 ენა ისმის. სწორედ ამ მრავალფეროვნებამ განაპირობა დუზჯეს უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილების გახსნა, რომელსაც ორი მიმართულება აქვს: ჩერქეზული ენა და ლიტერატურა და ქართული ენა და ლიტერატურა. ორივე მიმართულება გაიხსნა 2013 წელს და ალბათ რეგიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დამსახურებაა, რომ პირველივე წელსვე აღმოჩნდა ამ მიმართულებებზე სწავლის მსურველნი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილება პირველია მთელი თურქეთის მასშტაბით. წელს ქ.კაისერის ერჯიესის უნივერსიტეტში გაიხსნა მეორე, კერძოდ, ყაზარდოული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაც. ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პედაგოგ-პროფესორები დუზჯეში არიან ადიღეის რესპუბლიკის მაიკოპის უნივერსიტეტიდან ჩამოსული პროფესორები, რომლებიც კარგად იცნობენ საქართველოს კავკასიოლოგიურ სკოლას. მათი უფროსი თაობის წარმომადგენლები ორი მირა (მირა ხაჩემიზოვა და მირა უნაროკოვა) არიან 70 წელს გადაცილებული დაფასებული ქალბატონები, რომელთაც თბილისში აქვთ დაცული საკანდიდატო დისერტაციები და არიან ჩვენი კორიფეების არნოლდ ჩიქობავასა და გიორგი ჩიტაიას მოწაფეები. ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილებას მჭიდრო კავშირი აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის კათედრასა (ხელმძღ. პროფ. ცირა ბარამიძე) და ჩერქეზული კულტურის ცენტრთან (ხელმძღ.პროფ. მერაბ ჩუხუა).

დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებას დანარჩენ სამ ქართველოლოგიის ცენტრთან შედარებით ის უპირატესობა გააჩნია, რომ აქვს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სწავლების ორი საფეხური. აქ პედაგოგებია: მაკა სალია ბეშიროღლუ და მისი თანაკურსელი შორენა ლომაია. ორივე ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, რომელთაც სადოქტოროები არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიცვეს; ახლახან ჩამოვიდა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული მარინა სულხანიშვილი, რომელსაც საკანდიდატო დისერტაცია შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტში აქვს დაცული. აქვე მასწავლებლობს ადგილობრივი, დუზჯელი ეთნიკური ქართველი, ფეხვი ჩელები, რომელმაც ამ ზაფხულს დაიცვა სადოქტორო ანდრია პირველწოდებულის სახ. საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში თემაზე „დუზჯელ ეთნიკურ ქართველთა მეტყველების ნიმუშები.“ აქვე ვმუშაობ მეც, თქვენი მონა-მორჩილი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფ. ნანა კაჭარავა. დიდ ყურადღებას გვაქცევს და კურირებას გვიწევს ეთნიკური ქართველი, ისტორიის კათედრის გამგე დოც. ალი ერთულრული. შარშან მაისში დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორატის ხელშეწყობითა და ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების

თაოსნობით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავისადმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს თითქმის ყველა წამყვანმა უნივერსიტეტმა. ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც საზღვარგარეთ ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაზე.

თურქეთში საქართველოს ელჩის, ბატონი ირაკლი კოპლატაძისა და ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის ბატონი გიორგი შერვაშიძის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხერხდა უნივერსიტეტის 100 წლისთავის იუბილეზე დაპატიჟება ყველა იმ რექტორისა, რომელთა უნივერსიტეტებშიც მოქმედებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებები თურქეთში. ამათ დაემატა პრესტიჟული სტამბოლის, ანკარისა და ჰაჯეთეფეს უნივერსიტეტების მოწვევაც. სამწუხაროდ, იუბილეზე თურქეთიდან მხოლოდ ორმა მათგანმა, დუზჯესა და რიზეს უნივერსიტეტების რექტორებმა შეძლეს ჩამოსვლა. იუბილეს დღეებში განახლდა და თავიდან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას დუზჯესა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ. დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორის ქალბატონ ნიგარ დემირჯან ჩაქარის წარმოთქმული სიტყვა შეფასდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა. წელს ქალბატონი ნიგარი არჩეულ იქნა წლის საუკეთესო რექტორად თურქეთში. იგი არის ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ახალგაზრდა რექტორი და თანაც ქალი. პროფესიით ეკონომისტი ქალბატონი თავის ევროპულ და ამერიკულ განათლებას უშურველად ახმარს დუზჯეს უნივერსიტეტის წინსვლისა და განვითარების საქმეს. შენდება ახალი საავადმყოფო, იხსნება ახალი ფაკულტეტები, დღითიდღე მშვენიდება და ფართოვდება უნივერსიტეტის კამპუსი.

ქ-ნი ნიგარი ეთნიკურად კავკასიელია, მამა ჩერქეზი ჰყავს, დედა კი - ქართველი. მართლაც ჩვენი რექტორი მშვენიერად და ძალიან საყვარლად მეტყველებს ქართული ენის აჭარულ დიალექტზე, თუმცა ჩერქეზული ნაკლებად იცის. დედამისი, საოცრად სათნო და დაფასებული ქალბატონი, გამართულად საუბრობს ქართულად. დუზჯელები ამაყობენ, რომ ჰყავთ ნიჭიერი, ენერგიული, დაუზარელი, პროგრესულად მოაზროვნე რექტორი. იგი საოცარი ოპტიმიზმითაა დაჯილდოებული. მისთვის არ არსებობს გადაუჭრელი პრობლემა ან მოუგვარებელი საკითხი. ყველაფერში გვეხმარება და ანგარიშს გვიწევს ქართველ და ჩერქეზ პედაგოგებს. მისი ოპტიმიზმი ისეთი გადამდებია, რომ ჩვენ, უცხოელებს მისით გვიხარია იქ ყოფნა. ეს არ გახლავთ მარტო ჩემი სუბიექტური აზრი. პირველი შეხვედრისთანავე ქ-ნი რექტორი ისეთ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ყველა ერთხმად აღიარებს მის გადამდებ კეთილგანწყობას. აკი ქ-ნი ნიგარს მეუღლეც ეთნიკური ქართველი ჰყავს, ბატონი სერქან ჩაქარი. ცოლ-ქმარს სურვილი აქვთ, შვილებმა, გოგონებმაც ისწავლონ ქართული.

როგორ მიდის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება თურქეთში? მიგვაჩნია, რომ თურქეთის უნივერსიტეტებში ქართული ენა (პირველ ეტაპზე მაინც) ქართველმა თურქოლოგებმა უნდა ასწავლონ. ქართველი მასწავლებელი, წმინდა ქართველოლოგი იქ ისედაც ყოველთვის საჭირო იქნება, სანამ არ აღიზრდება ამ საქმის სათანადო დონეზე შემსრულებელი თურქი სპეციალისტები. როგორც იქნა ნავსი გატყდა და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რომელიც წინ უძღოდა ქართველოლოგიური მიმართულებების გახსნას თურქეთში, წარმატებით დაგვირგვინდა. შუაგულ თურქეთში სტუდენტი მოდის ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის შესასწავლად და შენ არ გაქვს უფლება ათქმევინო მას, რომ ვერ ასწავლი, რომ აზუთხინებ, რომ ვერაფერს აგებინებ. ჩვენ უნდა გავუადვილოთ თურქებს ქართული ენის (მათთვის საკმაოდ რთული ენის) სწავლა ქართველი თურქოლოგების დახმარებით; ვინ თუ არა ჩვენ უნდა ვასწავლოთ თურქებს ქართული? ჩვენ უნდა შევავაროთ მათ საქართველო, ქართული ენა და ქართველები. უნდა ვასწავლოთ ქართული უფრო მომხიბლავად, მიმზიდველად, მათი მშობლიური ენის დახმარებით და ეს ხელეწიფებათ ქართველ თურქოლოგებს. მითუმეტეს, რომ ისინი დიპლომის მიხედვით, პირველ რიგში, არიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და მერე თურქული ენის სპეციალისტები და თარჯიმნები. ვფიქრობთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრამ, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან ერთად, მომავალში მჭიდრო ურთიერთობები უნდა იქონიოს თურქეთის სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებში აღმოცენებულ ქართული ენისა და ლიტერატურის ცენტრებთან. ესენი უნდა დაკომპლექტდნენ ჩვენი პროფესიონალი კადრებით და არა შემთხვევით მოხვედრილი სპეციალისტებით. მით უმეტეს, დღეს, თანამედროვე საქართველოს პირობებში, ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორი მონდომებით ეწევიან საკუთარი ენისა და კულტურის პროპაგანდას თურქები და ამას აღწევენ თავიანთი მასწავლებლებისა და ჩვენი აღზრდილი კურსდამთავრებულების დახმარებით. შედეგიც არ აყოვნებს. დღეს თურქული ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ენაა საქართველოში. ნამდვილად არ გვაწყენდა, გადაგველო მათი მაგალითი და გვესწავლებინა ქართული თურქეთში ისე, როგორც ისინი ასწავლიან და პოპულარიზაციას უწევენ თურქულს საქართველოში. თურქოლოგიის კათედრების მოვალეობა არ არის მხოლოდ თურქული ენის სწავლება ქართველი სტუდენტებისათვის. თურქოლოგებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თურქებისათვის ქართული ენის სწავლებაშიც. მეცნიერული მუშაობა, ახალი სახელმძღვანელოების შედგენა და მისთ. უნდა გაძლიერდეს ამ მიმართულებითაც.

ასოც.პროფ. ნანა კაჭარავა

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თურქოლოგიის კათედრა
დუზჯეს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო-ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილება, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება